საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 28 თებერვალი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ფასი თვეში 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომრის 3 მანეთი. განცხადების ფასი სათაურზე გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15X2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ხელნაწერი განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესასვლელი რუსთაველის ქუჩის მე-18-იდან.

№ 47 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 47

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ მწუხარებაში მყოფნი მშობლები სით და ბაისო ელიაძეები, შვილები: კატო, ერმილე, შალიკო, ვანო, გრიშა და გოდერძი ელიაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი თრის სიძის და შვილის დანარჩენების ძის და სიძის

იასონ მორალიშვილის

და ლეო ელიაძის ასულის მოლარიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ს. ბოხვაურში (გურია) თებერვლის პირველ რიცხვებში. (უფ. 1—1)

თავზარდაცემული ძმა ალექსანდრე ელიაძე და მეუღლე მისი ბაბანე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ძვირფასის დის და სიძის, ხოლო მეორე საყვარელი ძმის და სიძის

იასონ მორალიშვილის

და ლეო ელიაძის ასულის მოლარიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ს. ბოხვაურში (გურია) თებერვლის პირველ რიცხვებში. (უფ 1—1)

გულდამწუხრებული და გულშემოდუღრებული დედ მამა ეფრემ ვასილის ძე ლომიძე და მეუღლე მისი ხელენე მაქსიმეს ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი ერთად ერთი შვილის მეორე კლასის მოწაფის

ვარლამის

ტრაგიკულად გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე დღეს 28 თებერვალს ნაძალადევის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. (713 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე [illegible] ასული შვილებით გიორგი და კონსტანტინე ვაშაკიძეები აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 29 თებერვალს, 12 საათ. საათზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის პანაშვიდი ძვირფასი და საყვარელ ქმრის

ექვთიმე სიმონის ძე ვაშაკიძის

სულის მოსახსენებლად. (715 1—1)

გულდამწუხრებული მშობლები არტემონი და მარიამი დუმბაძეები შვილებით: თამარი, ნინო და ლილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას გადახდილ იქნება ორმოცის თავის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის თბილისის წმინდა ნინოს გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფის

ქეთოს

წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. თბილისში კალოუბნის ეკლესიაში დილის 11 საათზე. (უფ. 1—1)

თავზარდაცემული და გულდათუთქული თამარი, ანეტა, შალიკო, ლიზა, ნატო და ალექსანდრე ძამაშვილი მწუხარებით აცნობებენ ნათესავთ, მოყვრებს, მეგობრებს და ნაცნობთ პირველი დაუვიწყარი მეუღლის, მეორის და მესამის ძმის, დანარჩენების სიძის და ქვისლის

შაქრო ივანეს ძე ჩიტუნაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, დაკრძალვა კვირას, 29 თებერვალს, დილის 10 ს. მიცვალებულის გამოასვენებენ შამხორის ქუჩიდან № 11 მიქელაშვილის სახლიდან, თბილისის წმინდა მარინეს ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს 28 თებერვალს საღამოს 7 საათზე. (717 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა სოლომონ, მეუღლე კლავა, შვილები: ნინა, ნინო და ქეთო, და დუშანა, სიძე სოლომონი, ძმები: ნესტორი, ქრისტე და კოწია, ბიძა ქეტევანი, მიცვალე ელისაბედ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასის ინჟინერ-მექანიკის

პარმენ სოლომონის ძე მეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ს. ხუნჯულაურში (სამტრედიის რაიონი) 2 მარტს, ნაშუადღევის 3 ს. მიცვალებულის წასვენებული იქნა ქ. თბილისიდან 27 თებერვალს თავის სოფელში. (706 2—1)

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი მშობლები რესტომ თედორეს ასული და მალაქია გრიგოლის ძე; ძმები: მიხეილ, ბაქრინე მეუღლით ნადეჟდათი, დათიკო და კოწია მამიდებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი

ბრიშას

უდროოდ გარდაცვალებას. (709 1—1)

იყიდება

ახალ აშენებული 3 სართულიანი

სახლი

მიხაილოვის ქუჩისა და გორის შესახვევის კუთხეში № 3, სახლი შედგება 22 ოთახისაგან გარდა სარდაფისა. 130 ოთხკუთხედი საჟენი მიწით. ფასის გაგება შეიძლება [illegible] ბაზარში № 12. დილის 8—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. (719—1—1)

ახალი წიგნი

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა თ. ჭუმბურიძის ახალი წიგნი

„კრიტიკული ანუ მეცნიერული სოციალიზმი“

წიგნი არის ხაშურის ს.-დ. ვ. პ. ორგან. გამოცემა, შეიცავს 104 გვერდს და ღირს 15 მანეთი; ვისაც სურს შეიძინოს ეს წიგნი მიმართონ შემდეგ ადრესზე: ხაშური, სოც.-დემ. ორგანიზაციის ბიუროში. დაკვეთა შეუძლიათ მხოლოდ ორგანიზაციებს. კომიტეტი. (უფ. 8—2)



პოეტის

გალაკტიონ ტაბიძის

საღამო

სახელმწიფო თეატრში

ოთხშაბათს, 3 მარტს

ივანე გომართელი

წაიკითხავს სიტყვას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ.

პოეტები, მწერლები:

აბაშელი საშა
ბარნოვი ვასილი
გრიშაშვილი იოსებ
დადიანი შალვა
დადიანი შოთა
ინგოროყვა პავლე
მაყაშვილი კოტე
მეგრელი დუტუ
რუხაძე ვარლამ
რამიშვილი ტრიფონ
ტაბიძე გალაკტიონ
შარაშიძე შალვა
შიუკაშვილი ნიკო
ქუჩიშვილი გიორგი

წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს.

ალეკო

ოპერა ერთ მოქმედებად, მუსიკა რახმანინოვისა. ვანო სარაჯიშვილის, ალიშკოს, ოვსიანიკოვის, პოლიაკოვისა და ისეიკის მონაწილეობით. დასდგამს მელახოვი. დირიჟორობს კორშუნი

კავალერიის ბანაკი

ბალეტი 1 მოქმ.

პრიმა-ბალერინა **გაუერზაკსი**

ბალეტ-მეისტერი **ვაკარეცი**.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში.

დაწვრილებით პროგრამებში. (ნ. 7—3)

წითელი ჯვრის საზოგადოების

მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ თავის საკუთარ შენობაში საავადმყოფო და ყურისა ამბულატორია (26 მაისის ქ. № 60, ყოფილი ოლღის ქ. შესახვევი [illegible] № 3). ამბულატორია ღია ყოველ დღე დილის 10—12 საათ. გარდა კვირა-უქმე დღისა. საავადმყოფოს შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ექიმთან. (687—6—3)

ს. ს. დ. მ. პ. თფილისის სამაზრო კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე

კრუზენშტერნის ქ. № 4. რუსთაველის პრ. № 18 შესასვლელი მესამე სართულში. „ბრძოლის“ რედაქც. შენობაში. (უფ. 4—1)

დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო საპარლამენტო კომისია

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები აფხაზეთსა (ოჩამჩირის ოლქში) და რაჭა-ლეჩხუმის ბლოკებში, სადაც რაიმე მიზეზის გამო წინა არჩევნები არ მომხდარა ან გაუქმებულია, დანიშნულია ამა წლის მარტის თვის 27-ს, 28-ს და 29-ს.

თავმჯდ. კრების ცენტრ. საპარლამენტო საარჩევნო კომისიის პრეზიდიუმი.

განცხადება

26 თებერვალს დილის 9—10 საათ. მეხუთე ნომერ ტრამვაის ვაგონში, წყნეთის ქუჩიდან სასტუმრო ორიანტამდე

დავკარგე

ოქროს საათი—ბრასლეტი, შიგნით ქართული წარწერა აქვს „ლილიტას“. მნახველს დავუჯილდოებთ ვალით დამიბრუნოს, საჩუქარს არ დავიშურებ, რასაც მთხოვს. მისამართი: სასტუმრო ორიანტი გრ. წერეთელს ან ყაზბეგის ქ. № 9 წერეთელს. (702—1—1)

ექიმი ბ. ი. ოქრომჭედლიძე

იღებს შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რეტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—ო.)

ბათუმის საკითხი

ბათუმ-არტაანის საკითხი კვლავ დასვა დღიურ წესრიგში და გადაჭრას ითხოვს.

დაახლოვებით ორი წლის წინად ჩვენი ჯარი იძულებული იყო დაეტოვებინა ბათუმი უფრო ძლიერი მოწინააღმდეგისათვის.

იმ დროს საქართველოს დემოკრატიულ წრეებში თითქოს გამეფებული იყო აზრი, რომ ბათუმი, როგორც ნავთსადგური, ესაჭიროება მხოლოდ მოდგრებს, ბურჟუაზიას და სავაჭრო საზღვრების დაცვა სოციალიზმის ფარმყოფელ საქმედ იქნა გამოცხადებული, რამაც დიდი „ღვაწლი“ მიუძღვის ბოლშევიკურ მოძღვრების მოციქულებს.

ჩვენმა დემოკრატიამ საკმაო გამოცდილება მიიღო ამ ორი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ბათუმის დაცემის პირველ თვეებში, როცა ოსმალოთა ჯარებმა იწყეს ჩვენს ქვეყანაში თარეში. ყველა დარწმუნდა, რომ საქართველო უბათუმოდ დახაჩირებულ სხეულს დაემსგავსებოდა. და თითქოს ამ შეგნებამ კიდევ უფრო განამტკიცა ბათუმში და მის ოლქში გაჩნდნენ ისეთი ძალები, რომელნიც საქართველოს საწინააღმდეგო მოღვაწეობას აწარმოებენ.

ეს უკანასკნელი გარემოება არ გამოპარვია ჩვენს მთავრობას, რომელიც სხვადასხვა ცნობას აქვეყნებს ამის შესახებ და საქვეყნოდ აღიარებს საქართველოს დემოკრატიის გულის ნადებს.

მართლაც რა აიძულებს ჩვენს მთავრობას ქალაქ ბათუმს და მთელი ოლქის შემოერთებაზე იზრუნოს?..

იმპერიალიზმი? სახელმწიფო საზღვრების გაფართოება? არა. ჩვენი მთავრობა ასეთი მოღვაწეობისათვის არ არის მოწოდებული, ის საქართველოს დემოკრატიის სურვილების გამომხატველია, ჩვენი დემოკრატია კი შორსაა სხვის იმპერიალიზმისა და დაპყრობითი ომისაგან.

საქართველოს დემოკრატიისათვის ბათუმის ოლქი ყოფნა-არ ყოფნის საკითხია, რადგან, როგორც მთავრობის ცნობაშია აღნიშნული, ეს ოლქი შეადგენს საქართველოს ორგანიულ ნაწილს, ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და ეკონომიურად. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ დემოკრატიული თვალსაზრისით ისტორიული უფლებები თავის-თავად, განყენებულად არ არის ყურადღების ღირსი, რომ ისტორიულ უფლებების გამოყენება დემოკრატიისათვის მიუღებელია. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ისტორიული უფლება ბათუმზე და მის ოლქზე შეთანხმებულია ეთნოგრაფიულ და ეკონომიურ მხარეებთან. ეთნოგრაფიულად ბათუმის ოლქი განუყრელი ნაწილია საქართველოსი, მისი მცხოვრებლების უდიდესი ნაწილი ქართველებისაგან შესდგება. თუმცა ჯერ ოსმალეთი ცდილობდა მთელი ორასი წლის განმავლობაში მათ გათათრებას, ხოლო შემდეგში რუსეთი ორმოცი წლის განმავლობაში არუსებდა მას, მაგრამ ქართული ენა—ეს უმთავრესი ნიშანი ეროვნებისა—მათ აქამდის შეინარჩუნეს და წმინდათ დაიცვეს.

ეკონომიურად ხომ საქართველოს არ შეუძლია უბათუმოდ განვითარება, ხოლო ბათუმის ოლქის არსებობა საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია.

ამიტომ ვფიქრობთ, ჩვენი დემოკრატიის ინტერესები მოითხოვენ, რომ საქართველოს დაუბრუნდეს მისი ორგანიული ნაწილი—ბათუმის ოლქი. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ყოველ დავის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ მოკავშირეები, განსაკუთრებით ინგლისი, არ მოისურვებენ წვრილი ერების ისტორიულ უფლებების ფეხქვეშ გათელვას და საქართველოს ხალხის საწინააღმდეგო ნაბიჯს არ გადადგამენ. ჩვენი ქვეყანა ღირსია იმის, რომ პატივისცემით მოეპყრან მის უფლებებს თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ბოლშევიკურ ანარქიის მოსპობას უწყობს ხელს, ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობა კი ამ ანარქიის მასაზრდოებელი ძალა იქნებოდა. ხოლო დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს საქართველოს შეძლოს არსებობა, როცა მის გვერდით ათასგვარი დამრღვევი ძალა შლის ფრთებს.

ამიტომ ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით მთავრობის განცხადებას და სურვილს გამოვსთქვამთ, რომ აღნიშნული განცხადება ცარიელ განცხადებათ არ დარჩება და საქართველოს დაუბრუნდება მისი ორგანიული ნაწილი—ბათუმის ოლქი.

პრესა

გაზ. „სლოვო“ პასუხს გვაძლევს ჩვენს კატეგორიულად დაყენებულ კითხვაზე. მკითხველს ეხსომება, რამ გამოიწვია ჩვენ მიერ დაყენებული კითხვა ბათუმის შესახებ. „სლოვოს“ მაშინ ნავთ წერილიდან თითქოს ის აზრი გამოდიოდა, რომ ბათუმის საქართველოს ხელში გადასვლა სომხეთისათვის [illegible], თუ საქართველო მას წინასწარ გარანტიებს მისცემს, რომ მისი ეკონომიური ინტერესები არ დაირღვევა. ჩვენ ამაზე ვუპასუხეთ: საკითხის გადადება იმ დრომდის, სანამ ამ „გარანტიების“ შემუშავება მოხდებოდეს, იმას ნიშნავს, რომ ბათუმი შეიძლება ოსმალეთის იმპერიალისტებმა ჩაიგდონ ხელში. საქართველოსთვის ბათუმის გადაცემის საკითხი დღესვე უნდა გადაწყდეს. სომხეთმა დღესვე, გარანტიების შემუშავებამდის, უნდა გადაჭრით სთქვას: საქართველოს, თუ ოსმალეთის იმპერიალისტებს ბათუმი? ამ კითხვაზე „სლოვო“ უკანასკნელ ნომრის მოწინავე წერილში გვიპასუხებს:

„ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის, განსაკუთრებით სომხეთისათვის, არ შეიძლება არსებობდეს საკითხიც კი არჩევანზე საქართველოსა და ოსმალეთის იმპერიალიზმს შორის“.

„ასეთი საკითხის დასმა სომხეთის ხელისათვის ნიშნავს იმას, რომ განზრახ დაივიწყო მისი ისტორია ან ანგარიში არ გაუწიო მის ისტორიულ მისიას. სომხებმა ყველაზე უკეთ იციან, რას ნიშნავს ოსმალეთის იმპერიალიზმი და რა საფრთხეს წარმოადგენს იგი ამიერ-კავკასიის თავისუფლებისათვის. მათ ყველაზე მეტი სისხლი დაღვარეს ამ კულტურისა და წინა აზიის დამოუკიდებელ ხალხების არსებობისა და თავისუფლების მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი ახლაც იცავენ ამიერ-კავკასიას ოსმალეთის იმპერიალისტებისაგან და ამის გამო ყველაზე უფრო იტანჯებიან. ამიტომ სომხეთი, სანამ მას სული უდგას და მიისწრაფის აგრეთვე სოციალიზმისაკენ, გმირულად ილაშქრებს წინ ოსმალეთის იმპერიალიზმის თავდასხმას უსაქართველოდ იქნება ეს, თუ საქართველოსთან ერთად, ბათუმისათვის, თუ ბათუმის გარეშე“.

„მაგრამ სომხეთის ცხოვრებისათვის საჭიროა თავისუფალი გასავალიც უცხოეთში, საჭიროა ღია ნავთსადგური სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულების დასამყარებლად. ასეთი კი ჯერ-ჯე-

დღეს

იტალიის პრესა სიამოვნებით აღნიშნავს ამიერ-კავკასიაში გაგზავნილი იტალიის მისიის თავმჯდომარის საქართველოს მიერ მიღებას.

ლონდონის კონფერენციის დეკლარაციით აღიარებულია რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების განახლება. დიპლომატიური კავშირის დაჭერაზე კი დეკლარაცია უარს ამბობს.

ამერიკული ცნობით ვილსონმა და მილერანმა უარყვეს ნიტის და ლოიდ ჯორჯის საიდუმლო წინადადება საბჭოთა რესპუბლიკის ცნობის შესახებ.

ფრონტულ სესხზე ხელის მოწერა იტალიაში კარგად მიდის.

ინგლისის ქვეითი ჯარის ნაწილი სტამბოლში ჩავიდა.

რომბით ბათუმმა. ამიტომ სომხეთი განსაკუთრებული ხალისით და თავგამოდებით დაუჭერს მხარს საქართველოს ბათუმისათვის ბრძოლაში, როდესაც იმის გარანტია ექნება, რომ თავისუფლად ისარგებლებს ბათუმის ნავთსადგურით“.

„აქ მას მხედველობაში აქვს არა ბათუმის ინტერნაციონალიზაცია დანციგის მაგვარად, არამედ მისი სატრანზიტო და სავაჭრო უფლებების იმნაირად უზრუნველყოფა, როგორც ეს სერბიამ მოითხოვა საბერძნეთის [illegible] სალონიკში ან კიდევ იტალიას აქვს განზრახული ჩეხო-სლოვაკიისა და ავსტრიის მიმართ ტრიესტში.

ამ წერილიდან სჩანს, რომ „სლოვო“ არავითარ წინასწარ გარანტიებს არ მოითხოვს. ჩვენთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ეს გარანტიები, „სლოვოს“ აზრით, შინაური შეთანხმებით უნდა შემუშავდეს. ასეთი პასუხი ჩვენთვის, რასაკვირველია, დამაკმაყოფილებელია და სასიამოვნოა. „სლოვო“ გვისაყვედურებს, თითქოს ჩვენ „განზრახ ვხუჭავთ თვალებს“ სომხეთის პოზიციის ოსმალთა მიმართ. ჩვენ „სლოვოზე“ ბრალს არ ვდებთ, რა განსაკუთრებული ინტერესი ექნება სომხეთისათვის ოსმალთა იმპერიალისტების მიერ ბათუმის ხელში ჩაგდებას. ამაზე ჩვენ არა ერთხელ დაგვიწერია, მაგრამ ჩვენ გვეშინოდა, რომ სომხეთ-ბოლშევიკების პოლიტიკის გატაცებამ ეს სამშობლოს [illegible] არ დაინახოს და საქმეს ზიანი არ მიაყენოს. ამის გამო ჩვენ ასე კატეგორიულად დავსვით საკითხი.

უპირატესობა ვაკუთვნოთ. არა მარტო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, თვით თავის ისტორიული მნიშვნელობითაც ბათუმი ნავთსადგურია არა მარტო ერთი რომელიმე რესპუბლიკისა, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისათვის. აქ მოჰქონდათ ყველაფერი, რაც უცხოეთში უნდა გატანილიყო, აქედან იგზავნებოდა კავშირის დასავლეთ ევროპასთან. ამიტომ ყველა რესპუბლიკების უფლებები აქ ერთნაირად უნდა იქნეს დაცული. ბათუმის საკითხი დღეს განსაკუთრებით აზერბაიჯანს უნდა აინტერესებდეს,—დღეს, როდესაც მთელი ევროპის ყურადღება ბაქოს ნავთისადმი არის მიქცეული“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ბაქოს უმთავრესი ექსპორტი ვერ შეუძლია ისე, როგორც ბათუმს, აღნიშნავს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდნენ მოკავშირე სახელმწიფოები ბათუმის პორტს, რომელიც ცდილობდნენ „ბათუმის ნავთსადგურის ნეიტრალიზაცია მოეხდინათ“ და დასძენს:

„ჩვენ გვგონია, რომ ბათუმის ნავთსადგურის საერთო თავისუფალ ნავთსადგურად გადაქცევა, ეს იქნება ერთადერთი სწორი გადაჭრა საკითხისა. ასეთი დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საკითხები პოლიტიკური თამაშობით არ უნდა გადაიჭრას. იქ, სადაც საერთო ინტერესები ასეთის უტყუარი დამამტკიცებლობით ლაპარაკობენ, იქ უნდა გაჩუმდეს ყოველგვარი კერძოობითი ინტერესები. გეოგრაფიული ეთნოგრაფიული პრინციპი კი არ უნდა დაედვას საფუძვლად ბათუმის ნავთსადგურის შესახებ საკითხის გადაჭრას, არამედ ეკონომიური მიზანშეწონილობის პრინციპი, რაც ერთნაირად ყველა რესპუბლიკებისათვის“.

განაგრძობს რა ამ ძირითადი მოსაზრებიდან, გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც ყველაზე ახლოა ბათუმთან და დიდი ხანია გაზიარებით აღიარებს თავისუფალ ბათუმის ბედს, ხელს შეუწყობს ბათუმის საკითხის სამართლიანად გადაჭრას.

ქურნალ-გაზეთებიდან

ბათუმის შესახებ.

მოწინავე წერილში აზერბაიჯანის მთავრობის ორგანოში „აზერბაიჯანი“, სხვათა შორის, შემდეგს სწერს ბათუმის საკითხის შესახებ: „...ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაინტერესებს ესა თუ ის ტერიტორიალური ცვლილებები; ჩვენს წინ სდგას უფრო მწვავე ეკონომიური ხასიათის საკითხი, რომელიც ერთნაირად შეეხება ამიერ-კავკასიის ყველა ხალხს—საკითხი ბათუმის ნავთსადგურის შესახებ. იმ როლის გამო, რომელსაც ბათუმი თამაშობს ამიერ-კავკასიის ხალხთა ეკონომიურ ცხოვრებაში,—ეს დიდი ხანია გადაიქცა ყურადღების ცენტრად ყველა მეზობელი რესპუბლიკის პოლიტიკური წრეებისათვის. სწორედ აქ იყრის თავს ეკონომიური ინტერესები იმ გვარად, რომ ძნელია აქ რომელიმე რესპუბლიკის

ქალაქი გორი და მისი მიდამო

მოგზაურო გზა-ზე ხედავ
გორის ციხეს მაღლა სერზე
ქვა ნახულ და გამოჯეჯილს
[illegible] ქართველის მტერზე.
[illegible] კლდე აქვს [illegible]
თავით მაღლა ცას ეხება
და [illegible] მორევით.
გუშინდელ [illegible].

აი ეს ქართლის გული ამაყი ციხით, როგორც [illegible]. დღეს თავგადამწვარი და ჩამომქრალ ნაღვერდალი, მიწასთან გასწორებული და შეჩვენებული თვალს აღარ ხიბლავს, აღარ იტაცებს!..

მისი ლამაზი ტაძრის, ეკლესიის კედლები დამსხვრეულია, მის სალოცავ [illegible] ბაღები წაღმა-უკუღმა ყრიან ნანგრევებში! ქუჩა ერთი მეორეზეა შეჩეხილი, სახლი ნალეწად და ადამიანთა ტვინი შერეულია, კირი და ქვიშაც სისხლით მოზელილია!.. გადარჩენილი ადამიანები გაღვენჩებულან, გაშტერებულან, უაზროთ ტრიალ მინდორში დამფრთხალ საქონელთან ერთად დაწანწალებენ!..

გორის ხეობის დამამშვენებელი გორის ჯვარი, რომელიც ამაყად გადმოსცქეროდა სალი კლდიდან დაბლობს, ყურს უგდებდა მტკვრის დუდუნს და უცხოდ გვიხმობდა: დასცქერით ჩემი სიდიადით და შეისწავლეთ ის მგზავრნი, მოძღვარნი, გაიცანით ის ერი, რომელმაც მე აღმაშენა,—ეს გორისჯვარი დღეს თავ-პირ დამტვრეული ხრამებში გადამსხვრეულია—ნაცარ-ტუტად გადაქცეული!..

ქართლის გული—გორი, მისი საუკუნოვანი ხილნარი, გამართავებული, მის ნანგრევებში ჩაჩარხულა!.. გორი და მისი ხეობა დაღვრილა, ვერანათ ქცეულა და მისი ბაღნარი შეზავებული თვალს [illegible] გარეშებს, მისი [illegible]—ასე ამბობენ აქ [illegible] იქიდან, როცა დამფრთხალი კრების კომისარიატი გრძნობ მე ხოლოდ [illegible] და გორის ნანგრევებს ვათვალიერებდი, ყრმათა, მოხუცთა, ქალის [illegible] ლუთის მშობლის გოდებას შეუგუებელი!..

მე განვიცადე ამ მწუხარებას, მე ტკივილებს ვგრძნობდი, არე-მარეს ვათვალიერებდი და მზის მაცოცხლებელ სხივების ქვეშ, რომელიც თავისი [illegible] სამშობლოს დანათებდა, ამას—შინაარს ვეძებდი!

ყველა თვალი შეუქავდა კავკასიონის წვერებს, რომლებიც დღრუბლიდან თანდათან იწმინდებოდა და მზის სხივებით განბრწყინებული შეჩერის თავშესაფარი ცას სივრცეში ამართული მწვერვალებში ე[illegible]-მგზავრს ეჯიბრებოდნენ—წამით ლილამიწოდნენ მათკენ მიტაცებდნენ და მიაქციდნენ და ჩემდა უნებურად აღმოხდა გულიდან: არა! გორს, რომელსაც ასეთი დიდებული სამშობლო აქვს, ვერ დაიღუპება! და ერთი წამით წინ დამიდგა მთელი სამშობლოს მიერ განვლილი გზა. წინაპრების სამშობლოს სურათები ერთი მეორეს ენაცვლებოდნენ კინემატოგრაფიული არაჩვეულებრივი ცვლილებით!

და რა ფიქრი, რა აზრი, რა ნაშთიური გამომხატველი ქანდაკებანი არ იყვნენ აქ!! თითქოს მიქელ-ანჯელოს თავისი ზოდიანი ხელით თითოეული ნაწილი გამოუკვეთია! თითქოს აქ, ამ თავ-გადასავლიანი ჯვარის ნანგრევებში მისი ხელით არის ამოჭრილ ამოქანდაკებული! თითქოს რაფაელის ტაძარის მხატვრობა თვალ-[illegible]! თითქოს რომის, ვენეციის, ფლორენცია-მილანის ტაძართა და საქართველოს ხუროთ-მოძღვარნი თავიანთ ლამაზ სამშობლოს საქებ საფიქრებლად ერთმანეთს ეჯიბრებიან, იმა, რომელთაც შეუძლიათ გამოხატონ ამ ბუნებაში შექმნილ სულის მშვენიერებასა და თავიანთ

შეგნებულ ნიჭით აქ გამოჰქონდათ—თავიანთი ძალუმი მკლავებით ერის კულტურა შექმნიათ—სამშობლო ტაძრები, უცხო მიდამოებით და ციხე-ქალაქებით სალ კლდეებზე, ცის სივრცეში ზე აღმართავდნენ!..

და რა ზღვა ძველი აქვს აქ საკვირველ, არაფრობას?! საკვირველი დათრგუნვილია, ცხოვრების წინმსვლელი ძალა მკვდრეთით აღმდგარია და მისი შემოქმედი მარადიულობა ქართველი ერის სულში შემომქმედისაგან შთაბერილია! ქართველი ერის სიცოცხლის მადლით მირონცხებულია!

არ ყოფილა წამი, რომ ქართველ ერს რთულ ისტორიულ პირობებში სავალი გზა არ მოენახოს, გაჭირებიდან დაუსხლტავი არ გამოსულიყოს! არ ყოფილა ისტორიული დრო, როცა მას განახლების გზა არ გამოენახოს და საკაცობრიო სავალ გზაზე მას, როგორც ერს, თავისი საკუთარი სახით არ ევლოს.

და დღეს, როდესაც სისხლწარკვეთილი ხმა აქეთ-იქიდან მესმის ქართლის გულის გორისა და მის დანგრეულ სოფლების გარშემო, მე ვამბობ: როგორც აქ არაჩვეულებრივ ქართველმა ერმა შექმნა ბაღნარი, სალ კლდეებზე გააშენა ვაზის სიმაგრენი, გაფურჩქვნებული ხილნარის მარადიული წალკოტით აქცია, რომლის ხილვამ ლერმონტოვს და სხვა პოეტებს გული აუძგერა და მათი ხანგი საქართველოს ერის საქებ-სადიდებლად აალერსა, როგორც ჩვენმა ხუროთ-მოძღვრებმა დიადი ტაძრები აგეს, ისე ქართველი ერი კვლავ იყვავებს ქართლის გულს, ააგებს დიად სამეცნიერო ტაძრებს, სადაცა მოძღვრად გაისმის სიტყვა ძმობა-ერთობისა და აზრის ქვეშ მარადიულობის ძირისა!..

ასეთი არის ჩვენი წარსული ქართველი ცხება—ამას გვაცნობებს ამ ომში ქართველი ერის შემოქმედება—უნარი!

გულდაკოდილი ლამაზი ქართლის გულის ნანგრევებში, მაგრამ რწმენა—იმედით შევყურებ მზის სხივებით გაბრწყინებულ სამშობლოს მთებს, რომ ის მშვენიერება ნათ-კიდეებშიც კი მინათებდა და სულს იმედით მიბადებდა!..

ჩვენ კვლავ გაიღვიძებს მკვდრეთით აღმდგარი ქართლის გული—გორის და მის ბაღნარი ქვეყნად სოფლებში!..

ეს არის ქართველი ქალის ბუნება და შეურყეველი ნება...

ვლასა მგელაძე.

ვინც გორს არ დაეხმარება, ის ღალატობს საქართველოს.

მთავრობის განცხადება

გარეშე პირობებმა საქართველოს სხვადასხვა დროებით მოსწყვიტა მისი ორგანიული ნაწილი—ბათუმის ოლქი.

საქართველოს მთავრობა სრულიად დარწმუნებულია, რომ ეს ფაქტი დროებით არ იქნება და ბათუმი და მისი ოლქი—ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და ეკონომიურად საქართველოსთან შეკავშირებული, კვლავ დაუბრუნდება თავის დედა სამშობლოს, როგორც მისი ავტონომიური ნაწილი.

მაგრამ სანამ ეს გარდა-ვალი ნებისყოფა როგორც თვით ბათუმის ოლქის, ისე მთელი რესპუბლიკის ხალხისა განხორციელდება, ოლქში თავისუფლად მოთარეშე საქართველოს მტრები სარგებლობენ დღევანდელი გამოუცხადებელი მდგომარეობით და ხალხში ავრცელებენ ათასნაირ ჭორებს, ეწევიან აგიტაციას ქართველების და საქართველოს წინააღმდეგ და ქმნიან პანიკას.

მთავრობას აქვს უტყუარი ცნობები, რომ ოლქის საზღვრებიდან და თვით ოლქში ლაშქრავს შეიარაღებული ბრბოები და პირები და ხალხს აქეზებენ საქართველოს წინააღმდეგ.

საქართველოს მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ იგი შევა ბათუმის ოლქში არა მტრული განზრახვით ვისიმე მიმართ, არამედ თანახმად ხალხის სურვილისა, სრული სიმშვიდის და წესიერების დასამყარებლად და ერთნაირის მზრუნველობით და სამართლიანობით დაიცავს მშვიდობიან მცხოვრებთა ინტერესებს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

საქართველოს მთავრობა მიიღებს ყველა ზომებს, რათა ოლქის ცხოვრება მოაწყოს იმ ნიადაგზე, რომელიც უზრუნველყოფს მისს თავისუფალ კულტურულ და ეკონომიურ აყვავებას. ამ გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა ვერ შეაცვლევინებს ვერავითარი ძალ-ღონე.

საქართველოს მთავრობა მოუწოდებს ბათუმის და ბათუმის ოლქის მშვიდობიან მცხოვრებთ არ აყვენ ანარქიის და არეულობის მქადაგებელთ და თავიდან მოიცილონ შეიარაღებული ბრბოები.

ყოველ დღეს დღეკითხე შენს თავს, რა გააკეთე ულუკმოთ დარჩენილ გორელებისათვის.

მოწოდება

მოქალაქენო! ქართლი ჩვენი ისტორიული დარაჯი იყო, სამშობლოს თავგანწირული მცველი.

მტერთა ურდოები ეხეთქებოდნენ ქართლს, მაგრამ ის მტკიცედ იდგა და თავისი სისხლით იფარავდა მთელ საქართველოს.

რაც ვერ მოახერხა მტერმა საუკუნეთა განმავლობაში, ის შესძლო ბუნების სასტიკმა მოვლენამ: ქართლის შუაგული განადგურებულია.

რამდენიმე ათი ათასი სული უსახლკაროთ, უპატრონოთ არის დარჩენილი.

ჯავრის, მწუხარებისა და სასოწარკვეთილებას დაუსადგურებია იმათ გულში ყინვა ცოცხალი გადარჩა.

ცოცხლები მკვდრებს შენატრიან, იმდენათ საშინელია მათი მდგომარეობა.

ვინ უნდა მოაშოროს მათ გულს კაეშანი და სასოწარკვეთილება?

ჩვენ ყველამ.

ვინ უნდა დაუბრუნოს მათ ხელის სიმტკიცე და მხნეობა?

ჩვენ.

ვინ უნდა დაავიწყებინოს მათ საშინელი უბედურება?

ჩვენ.

რითი, რა საშუალებით?

გულუხვი შემოწირულებით და ყოველმხრივი დახმარებით.

„უხვად გასცემდეთ, ვასვებდეთ,—
ხიდრენწი უშეცრეულია“.

ამაზედ უკეთესი დრო ჩვენ ძმებს არ გაუჩენიათ, როდესაც მეტი უბედურება წარმოუდგენელია.

დღეს ცუდ-პირიქით შეთ ჩვენი ძმები, ჩვენგან შველა და თანადგომა იქნება, ისტორია შეგვარცხვენს, თუ უხვი დახმარება არ აღმოუჩინოთ.

ვისაც ქუდი ჰხურავს, აღამიანობა და პატიოსნება სწამს, უკეთეს დროის ძვირათ ნახავს: ხალხი გაუბედურებულია, მიწასთან გასწორებულია; ამოუყვანეთ ფეხზე და ფეხზე დააყენეთ.

მტრის დასაცინად ნუ გავხდით შინ ჩვენს ძმებს, ნურც ჩვენს თავს.

ბუნების სიმკაცრეს დავუპირდაპიროთ ჩვენი გული; ბუნების უსამართლობას—ჩვენი კაცთმოყვარეობა. თუ ბუნებამ აღირება შეძლო ჩვენი ძმებისა, ჩვენ უნდა შევძლოთ მათი გაღიმება.

თუ ბუნებამ შეძლო მათი გაუბედურება, ჩვენ მათი გაბედნიერება უნდა შევძლოთ.

თუ ბუნებამ შესძლო ჩვენი სოფლების დანგრევა, ჩვენ უნდა შევძლოთ მათი აღდგენა.

ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო, უთქვამს ჩვენს ხალხს.

გავამართლოთ ეს თქმულება, დავუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ჩვენ მართლაც შეგვეძლება ძმობა და მოძმის გატანა.

მოქალაქენო! გაუბედურებული მოძმეები ჩვენ მოგვჩერებიან.

ნუ თუ ჩვენ ზურგს შევაქცევთ და ხელს არ გავუწვდით?

გაჭირვებული ქვრივ ობლები ჩვენსკენ იყურებიან.

ნუ თუ ჩვენს გულში სიყვარულისა და სიბრალულის ცეცხლი არა ღვივა?

დიდის უბედურება, დიდი უნდა იყოს ჩვენი დახმარებაც.

აუტანელია დაზარალებულთა მდგომარეობა; უსაზღვრო უნდა იყოს ჩვენი გულუხვობაც.

მოქალაქენო! გახსოვდეთ გაუბედურებული თანამემამულენი.

როდესაც თქვენს ცოლშვილში ტკბებით, მიწის ძგრისაგან უცრათ დაქვრივებულთა და დაობლებულთა ნუ დაივიწყებთ.

დაეხმარეთ უხვად, დაეხმარეთ ლირსეულად.

დაზარალებულთა დამხმარე
მთავარი ბიურო.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

27 თებერვალი.

იტალიის პრესის ცნობები.

იტალია და საქართველო.

იტალიის პრესა იუწყება და სიამოვნებით განმარტავს საქართველოს მთავრობის მიერ ამიერ-კავკასიაში გაგზავნილ იტალიის მისიის თავმჯდომარის მიღებას. საუბრის შემდეგ იტალიის წარმომადგენელმა გაეცნო მათ მხრივ წერილებით და წარმოსთქვა სიტყვა ორივე მხარის შორის უფრო მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულებათა განვითარების აუცილებლობის შესახებ. სიტყვას ტაშის ცემით შეხვდნენ. შემდეგ მისია დაესწრო დამფუძნებელი კრების სხდომას, სადაც იგი მხურვალედ მიესალმეს.

შეთქმულობა ისტრიაში.

ავსტრიის პრესა იუწყება: ისტრიაში იტალიელების წინააღმდეგ სლავიანთა დიდი შეთქმულება აღმოაჩინეს და რომ

კომუნისტების საქმიანობა*)

კარლ კაუცკისა

მხოლოდ რევოლუციის პერსპექტივები

(დასასრული)

შემ დროს ის აზრი, რომელიც კვლავ წამოაყენა „მესამე“ ინტერნაციონალის კონგრესმა მოსკოვში, ვითომ პარლამენტარიზმი და დემოკრატია არსებითად „ბურჟუაზიული“ ინსტიტუტები იყვნენ. სამწუხაროდ, ესენი წარმოადგენენ ისეთ ფორმებს, რომელსაც შეუძლება სხვადასხვა შინაარსი ჰქონდეს და დამოკიდებულია ხალხის ხასიათის და მის შინაგან მდგომარეობაზე. როდესაც პარლამენტში ბურჟუაზიული პარტიები შეადგენენ უმრავლესობას, მაშინ „პარლამენტარიზმი“ ბურჟუაზიული არის. თუ ეს პარტიები არავითარ დიდ ძალას არ წარმოადგენენ, მაშინ მათი პარლამენტარიზმიც არაფრით ღირს. მაგრამ ყოველ 30 წ. ხომ შეიცვლება მაშინ, როდესაც პარლამენტში იქნება სოციალისტების უმრავლესობა.

ამიტომ სოციალისტები არ მიილებენ უმრავლესობას იმ პირობებშიაც კი, როდესაც არჩევნები იქნება დემოკრატიული და ფარული, როდესაც კაპიტალისტები ბევრს პრესა და ორგანიზაციას ფლობენ. თუ კაპიტალისტებს შეუძლიათ ჩაიგდონ ხელში მუშები, ისეთი რევოლუციის შემდეგ, როგორიც არის აბსოლუტიზმი, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მათ ისევ შეუძლიათ საარჩევნო ბრძოლაშიაც მოიგონ და იქ თავიანთი სასურველი დეპუტატები გაიყვანონ.

მტკიცება იმის, რომ დემოკრატიულ, ფარულ არჩევნების დროს, როდესაც მცხოვრებლებს უმრავლესობა დაქირავებული მუშებისაგან შესდგება, პარლამენტში უმრავლესობის ვერ გაიყვანენ, როდესაც იქ არ მოიპოვებიან მუშებს კაპიტალისტებით, ნიშნავს იმას, რომ მუშები მშიშრები, მოლაღატეები და განუვითარებელნი ყოფილან და პროლეტარული საქმე გაკოტრებულა.

პროლეტარიატი რომ ასეთი საბრალო ყოფილიყო, მაშინ ვერ ვითარი დიქტატურა, რაც გინდ მკვეთრი უნდა გამოიყურებოდეს, ვერ მიანიჭებდა მას გამარჯვებას.

თუ დღევანდელი გერმანიის ნაციონალური კრება ბურჟუაზიული ხასიათისა არის, ამაში არა ნაკლებ ბრალი მიუძღვის მემარცხენე პროპაგანდას, რომელმაც ჩაუნერგა მუშებს მასსას, დამოუკიდებლებს, ნაციონალური კრებისადმი უნდობლობა და ამით საარჩევნო ბრძოლის დროს მუშების ინტენსივობა შესუსტდა. ის მუშათა ნაწილები, ნაცვლად კომუნისტური პრესა, რომლებიც მუდამ ბურჟუაზიის ხელმძღვანელობისაგან თავი დაიხსნეს, ბოლშევიკური პროპაგანდამ კვლავ ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ დატოვა.

ამჟამინდელ ნაციონალურ კრებას არ შეუძლია ძალა გერმანიის გაჰკვეთოს. განვითარების პროცესს სწრაფად არ სჭირდება. პირიქით, იგი ნელდება, თუ ბრძოლა ამჟამინდელ ნაციონალური კრების წინააღმდეგ მიმართულია, გადაიქცევა ბრძოლად დემოკრატიის საარჩევნო უფლების და საერთოდ ნაციონალური კრების წინააღმდეგ, ამით ბევრს შეუძლიან ბრძოლის, იმ ბრძოლის, რომელმაც უნდა გამოიწვიოს გაჯანსაღება და რომელიც მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ნაციონალურ კრებაში უმრავლესობა პროლეტარიატის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც სოციალისტური შეგნებით უნდა მიისწრაფოდნენ სოციალიზაციის საქმეს ისეთ პირობებში და იმ დროს, როდესაც დემოკრატიზაციას, რომელიც მართველობის სფეროში უნდა მოხდეს.

ეს, და არა დიქტატურა, უნდა ყოფილიყო პროგრამით იმ წმინდა სოციალისტური მთავრობისა, რომელიც ძალაუფლებას მიიღებდა ხელში. ეს პროგრამა მიიზიდავდა თავის მხარეზე მასსას და კეთილად მუშებს და აგრეთვე ფართო ბურჟუაზიულ ელემენტებსაც, რომლებიც დაინახავდნენ ამ პროგრამაში იმ საშუალებას, რომელიც გამოიყვანდა რესპუბლიკას საშინელი დაცემიდან, რაც ხელმოწერის შემდეგ მომწიფებული ფრონტის უდიერ მეშენდის შორის.

როდესაც კომუნისტები ამტკიცებენ, რომ დემოკრატია არის ბურჟუაზიული ბატონობის მეთოდი, საქმეთა უფრო არა მათ, რომ წინააღმდეგ დემოკრატიისა—დიქტატურა მიიყვანს მხოლოდ იმ მეთოდამდე, რომელიც წინ უსწრებდა ბურჟუაზიულ მეთოდს,—ესე იგი, ბარბაროსულ მუშტის უფლებამდე.

დემოკრატია თავის საფუძვლად, სადაც ჩვენი უფლებით, არ ნიშნავს ბურჟუაზიის ბატონობას.

ფრანკფურტში თავისი რევოლუციის პერიოდში შემოიღეს არა სამეფოს თავი, არამედ—ცენზიანი საარჩევნო უფლება. ასე იყო საფრანგეთში, ბელგიაში, შვეციაში და სხვა. მხოლოდ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლით მიიღწია პროლეტარიატმა საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება—ეს ყველასათვის ცხადია, რაც დაივიწყეს კომუნისტებმა და მათმა მეგობრებმა.

დემოკრატიის საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლებით წარმოადგენს ისეთ კანონს ბრძოლას, სადაც მუშებმა ბრძოლა გადადის მკვეთი ბრძოლაში, მასში გამარჯვების ისეთი კლასი, რომელიც თავის მოწინავეებს სჯობნის მორალურ და ინტელექტუალური შეგნებით. დემოკრატია წარმოადგენს ერთად ერთ მეთოდს, რომლის საშუალებითაც შეიძლება მიღწეულ იქნას ის უმაღლესი ფორმები ცხოვრებისა, რომელიც არის სოციალიზმი და რაც სხვათა მნიშვნელოვანი არის კულტურულ ადამიანისათვის. დიქტატურას მივყავართ იმ ხასიათის სოციალიზმამდე, რომელსაც მიიღო სახელწოდება აზიური სოციალიზმისა და რომელიც არა აქვს სამართ ნიადაგი, რადგანაც აზიამ წარმოშობა კონფუცი და ბუდა. ჩვენ სრულიად უფლება გვაქვს უწოდოთ მას თათრის სოციალიზმი. თუ ჩვენ არ შევეგებებით იმას, რომელიც მთავარი უბედურებაა, ლიდერ დაბრმავებული მიმდევრით კომუნისტებს, რომლებიც პროლეტარიატს ქუჩის ბრალით აბარებენ ძალის უმიზნო ავანტიურაში და ეს არის კიდევ მიზეზი, რომ გერმანიის მუშათა კლასმა ისეთი მცირე სარგებლობა ნახა თავის ბრძოლაში და დემოკრატია ვერ გამოიყენა, როგორც საშუალება თავისი განთავისუფლებისათვის. დემოკრატია უფრო დიდ სარგებლობას მოიტანს დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში. ის ქვეყნები, ნამეტნავად ანგლო-საქსონური, მხოლოდ იმიტომ ნაკლებად დაზარალდნენ ეკონომიურად. ყოველ ნაბიჯზე, წინ გადადგმული, ქვეყნის ყოველივე გამარჯვებამ პოლიტიკურ ცხოვრებაში, უნდა მიგვიყვანოს პრესიების გაუმჯობესებისა და მიგვიახლოვოს „ცხოვრების უმაღლეს ფორმებს“.

ამასთანავე პროლეტარიატის ბრძოლის ბაზის ბურჟუაზიულ სამყაროს წინააღმდეგ, უნდა მიიღოს უფრო ინტენსიური ფორმები, ვიდრე ეს ოდესმე იყო. ომით და გამარჯვებით გამოწვეული პატრიოტული აღტყინება, თ ნდობით ნელდება. გამოფხიზლება დატყვევებული ხალხს ზეგის ჩამოგდებისათვის, და როგორც ეს ვერ უნდა დავიდგან დამარცხებულთ, მაინც შეუძლებელი იქნება გამარჯვებულმა ხალხმა დაივიწყოს მისი აუ მსხვერპლი, რომელიც ომს შეეწირა და რაც ხელს უწყობს იმას, რომ ხალხი საგარეო პოლიტიკით აღარ არის დაინტერესებული და მთელ თავის ყურადღებას შინაურ პოლიტიკის კითხვებს აქცევს.

ოპოზიცია მიიღებს უფრო ენერგიულ ფორმებს რადგანაც ის გრძნობს თავის სიძლიერეს, გერმანიის და უფრო მეტად რუსეთის რევოლუციამ ამ მხრივ პროლეტარიატის აღფრთოვანებას შეუწყო ხელი.

როგორც უნდა ვეცადოთ ბოლშევიკურ მეთოდებს, ის ფაქტი, რომ პროლეტარიატმა მთავრობა არამც თუ ჩაიგდო ხელში ძალა უფლება დიდ სახელმწიფოში, არამედ შესძლო კიდევ შეენახა ძნელ პირობებში თის წელზე მეტი ამ ძალა-უფლების შენარჩუნება, ეს ყველა ქვეყნების პროლეტარიატში ამტკიცებს რწმენას თავისი სიძლიერისა. ამით ბოლშევიკებმა ნამდვილი მსოფლიო რევოლუციას უფრო მეტი სარგებლობა მოუტანეს, ვიდრე მათმა ემისრებმა, რომლებიც თავიანთი აგიტაციით პროლეტარულ საქმეს უფრო მეტი ზიანი მოუტანეს, ვიდრე სარგებლობა. მსოფლიო პროლეტარიატი მოძრაობს. მისი საერთაშორისო გავლენა ისე ძლიერდება ამ ჟამად, რომ ყოველივე მის ეკონომიური გამარჯვებას, მნიშვნელოვანი არა აქვს კაპიტალისტური, არამედ—სოციალისტური.

მსოფლიო ომი აუცილებლად შექმნის ისეთ კაპიტალ სტური დახასიათებს და დახაწყისს სოციალისტური განვითარებისას. ერთის ნახტომით ჩვენ ვერ გადავხტებით კაპიტალისტური სამყაროდან სოციალისტურ სამყაროში. სოციალიზმი არ არის მექანიზმი, რომლის გაკეთებაც შეიძლება წინასწარ განზრახული გეგმით და რომელიც ამოქმედებისთანავე ერთგვარად დაიწყებს მუშაობას. სოციალიზმი წარმოადგენს ურთიერთ საზოგადოებრივ პროცესს, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი კანონები და ამ კანონების ჩარჩოებში იღებს იმ სხვადასხვა ფორმებს და განვითარდება ისე, რომ ამ ჟამად მისი განვითარების მიმდინარეობის გათვალისწინება შეუძლებელია.

ჩვენ არ მოგვეცდება „ხალხის გადაწყვეტილების თანახმად ცხოვრებაში შემოვიღოთ მომზადებული უტოპიები“. ის რაც ხდება ახლა, არის „ელემენტების განთავისუფლება“, რომელთაც უნდა აიღონ თავიანთ ხელში ხელმძღვანელობა დაწყებულ სოციალისტური განვითარებისა. თუ გვსურს მას მსოფლიო რევოლუცია ვუწოდოთ იმიტომ, რომ იგი მთელ მსოფლიოში ხდება, მაშინ ჩვენ ვდგევართ მსოფლიო რევოლუციის წინაშე. მაგრამ ის წავა არა დიქტატურის გზით, ის განვითარდება არა ზარბაზნების საშუალებით, არა პოლიტიკური და სოციალური მოწინააღმდეგეთა განადგურებით, არამედ—დემოკრატიის და ადამიანობის გზით. მხოლოდ ამ გზით ჩვენ მივაღწევთ ცხოვრების იმ უმაღლეს ფორმებს, რომელიც შეადგენს პროლეტარიატის ისტორიულ მიზანს.

---

*) იხილე „ერთობა“ №№ 20, 24, 25, 37, 30, 39, 43, 46.

...ამხრივ ხალხის მთავრობამ ისტრიაში საერთო რევოლიუცია მოაწყო.

ერთგვარი ხერხი.

[illegible] ხელზე ხელის მოწერა კრძალულება, რომელშიც 16 მილიარდს [illegible].

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

დეკლარაცია რუსეთის შესახებ

ლონდონში გამართულ ბანკეტზე მილერანმა სიტყვა წარმოსთქვა. „პტი პარიზიენი" იძლევა ცნობებს ლონდონის კონფერენციაზე მომხდარი კამათის შესახებ. კონფერენციამ დეკლარაცია გამოაქვეყნა რუსეთის საკითხის შესახებ. ამ დოკუმენტის დამახასიათებელი პრინციპებია: საგარეო დამოკიდებულების განახლება და დასაზღვრული უარი მოსკოვთან დიპლომატიური კავშირის დაჭერაზე. ამას გარდა გადაწყვეტილია მოახდინონ ანკეტა რუსეთის ნამდვილ მდგომარეობის გასაცნობათ და ამ საქმეთა გასარკვევად გასაგზავნ პირთა დანიშვნა.

ოსმალეთის საკითხი

ოსმალეთის საკითხის შესახებ მილერანმა განაცხადა, რომ ოთხშაბათს კონფერენცია გამოაცხადებს გადაწყვეტილებათა პირველ სერიას, რომელიც მომავალ ხელშეკრულების ჩარჩო იქნება. ამ გადაწყვეტილებათა ძირითადი დებულებანი უკვე ცნობილია: ოსმალეთა დატოვება კონსტანტინოპოლში, სირიაში საფრანგეთის მანდატის განმტკიცება, სომხეთის სტატუსის დამტკიცება და სხვა დანარჩენი კითხვები უმთავრესად შეეხება ოსმალეთის განსაზღვრას ევროპაში, მილერანის სიტყვით ძნელია იმაზე მსჯელობა სწორია თუ არა ევროპაში თურქების დატოვების შესახებ გადაწყვეტილება.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

რუსეთის გარშემო.

ჰიუსონმა და მილერანმა უარყვეს ნიტისა და ლოიდ ჯორჯის საიდუმლო წინადადება საბჭოთა რესპუბლიკის ცნობის შესახებ, მაგრამ არც ის გამოხატავს, რომ რუსეთთან კომერციული დამოკიდებულება დაიჭირონ ვერ ჩაითვალოს სწორი და დამაკმაყოფილებელ საშუალებით.

ინგლისის წინააღმდეგ.

საფრანგეთის პრესა ინგლისს ცხარეთ უტევს. ის ამბობს, რომ ინგლისელებმა ხელშეკრულებით ყველაფერი ნაღდათ მიიღეს იმ დროს, როდესაც საფრანგეთმა მიიღო მხოლოდ „გარანტიები" მომავალ გადასახადებისა, ინგლისელები ეხლა ცდილობენ ამ გარანტიების შესახებ ვალდებულებანი თავიდან აიშორონ. ინგლისელები, რომლებიც ოსმალეთის მეტის მეტად გაძლიერებული იმპერიით [illegible], [illegible] ლაპარაკობენ საფრანგეთის იმპერიალიზმზე, როგორც ინგლის საფრანგეთის დამოკიდებულების ხელის შემშლელ მოვლენაზე ეს სარკასტიულია. ინგლისი უარს ამბობს ჩვენს წინადადებაზე, რომ სამხედრო კავშირი შეეკრათ. ასეთი კავშირი ეწინააღმდეგება ჩვენს ტრადიციებს.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ინგლისის ჯარი სტამბოლში.

ინგლისის ქვეითი ჯარის ნაწილი კონსტანტინოპოლში ჩავიდა.

საფრანგეთ იაპონიის ბანკეტი.

საფრანგეთ-იაპონიის საზოგადოების მიერ მოწყობილ ბანკეტზე დაესწრო მრავალი გამოჩენილი პირი. ბერტენმა, რომელიც ბანკეტს თავმჯდომარეობდა, დამსწრეთ მოაგონა იაპონიის მოკავშირეებთან ძველი თანამშრომლობაზე და ადმირალ ხორიუჩსა და ელჩ მატსუის გადასცა მედალი, რომელზედაც გამოხატული იყო სატრიუმფო არკა, რომლის ქვეშაც 14 ივლისს იაპონიის ჯარები გადიოდნენ.

კასპიის მხარეში.

კასპიის ზღვის მხარეზე წითლებმა დაიპყრეს კრასნოვოდსკის სამხრეთით მდებარე კუნძული ჩელეკენი.

გამოფენა.

გაიხსნა ინგლისის სამრეწველო გამოფენა.

ახალი ტანკები

გამოიგონეს ახალ ტიპი ტანკებისა, რომელიც საათში ოც მილს გადის.

გადასახადები.

კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს ომის დროს შეძენილ ქონებაზე გადასახადის დადების საქმის შემუშავება, სხდომები დაიწყო. ლორდი [illegible] ფიქრობს, რომ ეს გადასახადი სახელმწიფოს მილიარდ გირვანქა სტერლინგს მისცემს.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ [illegible]

შრომის ბეგარა.

მოსკოვი. 26 თებ. შეუდრეკელი და გმირული შრომა არის მომენტის მთავარი ლოზუნგი. ქალაქებში პურის მისატანად საჭიროა ტრანსპორტის შეკეთება, ქვანახშირის გზის ამუშავება. ფრონტზე საბრძოლველად საჭიროა ქალაქთა გაწმენდა. მრეწველობის აღდორძინებისათვის საჭიროა სათბობი მასალის შეგნება და მოტანა. საყოველთაო შრომის ბეგარა, აი ჩვენი ძახილი. მოქალაქენი, რომელთაც შრომა შეუძლიათ, უნდა იქნან ჩაწერილნი და პროფესიის და მიხედვით განაწილებულნი. ტიფის, ხოლერისა და ტრანსპორტის განადგურების წინააღმდეგ უნდა წამოვაყენოთ ნამდვილი ლაშქარი. ყოველმა კომლმა საერთო საქმეში თავისი წილი უნდა შეიტანოს. არ უნდა იქნენ შრომის დეზერტირები. მთელი ახალი ეპოქა, ეპოქა შრომისა მშვიდობიან ფრონტების გამარჯვებით.

პოდვოისკი.

მოსკოვი. 25 თებერ. სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა [illegible] რაფის სამხედრო კომისარი პოდვოისკი, რაც მეტათ დიდი დანაკლისია რუსეთის პროლეტარიატისა და მთელი საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

ადესა.

ადესა. თებერ. 20 საბჭოთა თითქმის ყველა დაწესებულებამ განაახლა თავისი მუშაობა. სასწრაფო ზომებს იღებენ მუშათათვის ბინების გასანაწილებლათ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დღეს, საღამოს 6 საათზე, მეოთხე რაიონის კლუბში, თფილისის კომიტეტი იწვევს ამავე რაიონის წევრთა საზოგადო კრებას, სადაც ამხ. ნ. რამიშვილი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალური რევოლიუცია".

— **მთავრობა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი გორში.** 26 თებ. გორში გაემგზავრნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრნი ს. მდივანი, გ. თავზიშვილი, ქრ. შარაშიძე და მინისტრები, ნ. რამიშვილი, კ. კანდელაკი, გრ. ლორთქიფანიძე, რ. არსენიძე; მინისტრის ამხანაგები: ნ. [illegible], გზათა დეპარტამენტის დირექტორი ქუჩიძე და სხ. მათ თან გაჰყვნენ აგრეთვე ბუნებისმეტყველნი, გეოლოგები, ინჟინრები, ინგლისელი კორესპონდენტები და კინემატოგრაფი „ფილმი". გორში მისვლამდე მატარებელი ჩერდებოდა დაზარალებულ ადგილებთან, სადაც მთავრობის თავმჯდომარე და წევრები ათვალიერებდნენ ნანგრევებს და ადგილობრივ ეცნობოდნენ დაზარალებულთა დახმარების საქმეს. გორში მატარებელს შეხვდნენ ერობის თავმჯდომარე, გორის მოურავი და იქ მყოფი დამფუძნებელ კრების წევრნი. მთავრობის თავმჯდომარე გაეცნო ადგილობრივ ორგანიზაციათა მუშაობას და დაათვალიერა ნანგრევები. ამის შემდეგ სადგურზე გაიმართა თათბირი. გორიდან ყველანი გაემგზავრნენ სკრაში, სადაც დაათვალიერეს დანგრეული ადგილები და ადგილობრივ გაიცნეს მდგომარეობა და ამავე დღეს თფილისს დაბრუნდნენ.

— მთავრობის საგანგებო კომიტეტის 24 თებერვლის სხდომაზე დადგენილ იქნა შესდგეს გეოლოგიური კომისია გორსა და მის მიდამოებში გასაგზავნათ. კომისიაში მიწვეულ იქნენ სამთო ხუროთ მოძღვრები: კალინოვსკი, ყურაშიძე, [illegible], რაბინოვიჩი და თფილისის ობსერვატორიის წარმომადგენელი. ხსენებულ კომისიას დაევალება გამოარკვიოს საშიშია თუ არა მომავალში ქალაქის ძველ ადგილას აშენება.

— **მიწათ-მოქმედების სამინისტროს** ცნობით ბორჯომის მამულიდან დღემდე გაგზავნილია გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა საჭიროებისათვის 27 ვაგონი ხე-ტყის მასალა. მიწათ-მოქმედების სამინისტრო სთხოვს მთავარ კომიტეტს აცნობოს, თუ რამდენი ვაგონი ხე-ტყის მასალა დასჭირდება დაზარალებულთათვის. სამინისტრო მიუთითებს აგრეთვე კომიტეტს, რომ საჭიროა განკარგულება, რათა მასალა კომიტეტის განკარგულებით იხარჯებოდეს.

დანგრეულ შენობათა აშენების ხელმძღვანელათ დაინიშნა ქალაქის მთავარი ინჟინერი გ. ზ. ქურდიანი.

— **ფქვილი.** საქართველოს წარმომადგენელი ბ-ნი ალშიბაია დეპეშით აუწყებს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ აღერბეიჯანის მთავრობამ ნება დართო ჩვენი წარმომადგენლის მიერ შესყიდულ 8,000 ფუთი ფქვილის გამოზიდვის.

— **ტყიბულის ქვა ნახშირი.** ფინანსთა სამინისტრო ამ ჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს იტალიელებთან ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების კონცესიის მათთვის მიცემის შესახებ.

— თელავიდან შემოსული დეპეშა მიგვიღეთ: მას შემდეგ, რაც პირველ თებერვალს გვარდიისა და მილიციის შეთანხმებული მოქმედებით განადგურებულ იქნა ყაჩაღთა ბანდა, რამდენიმე ყაჩაღი გაიქცა თელავის მაზრიდან. მათ შორის—ეფუზიაშვილი, ჯანგირაშვილი გაიქცნენ შირაქში, მილიციის უფროსი აბაშიძე ორი მილიციონერით გაგზავნილი იყვნენ მათ შესაპყრობათ. 18 თებერვალს მოულოდნელი თავდასხმით შირაქში ბინაზე მოკლულ იქნა ჯანგირაშვილი და ეფუზიაშვილი. [illegible] გამგეობა.

— შაბათს, 28 თებერვალს, „კოოპერატივში" მწერალთა კავშირის საბჭო მართავს გრანდიოზულ საღამოს გორის დაზარალებულთა სასარგებლოთ.

— ფოსტის განყოფილება [illegible] (სენაკის მაზრა), გარდაიქმნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებათ.

— გაიხსნა საქალაქთაშორისო ტელეფონის მოქმედება თფილისის და თეთრ-წყაროს შორის.

— **სახალხო უნივერსიტეტში** დღეს, 28 თებერვალს წაიკითხავენ ლექციებს: ცენტრში (პლეხანოვის პროსპ. № 123) 1) გ. ქუტიტაშვილი—სოციალიზმი; 2) აკ. შანიძე—მეცნიერება ხელოვნების შესახებ.

— **გორელების სასარგებლოთ.** შაბათს, 28 თებერვალს, თბილისის მე 6 გიმნაზიის დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩა, ყოფილი ქალთა ინსტიტუტი), ამავე გიმნაზიის მოწაფეთა მიერ გაიმართება დიდი საღამო გორის დაზარალებულთა სასარგებლოდ.

— **მუშათა კლუბში** დღეს გაიმართება საღამო გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

— სასტუმროების, კლუბების და რესტორანების მეპატრონეთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებამ დაადგინა, 28 თებერვალს ნავაჭრიდან სასტუმროების პატრონებმა უნდა გადასდონ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ 50 პროცენტი, რესტორანის და კლუბების მეპატრონეებმა კი 10 პროცენტი.

კრებები

დღეს, საღამოს 6 ს., მეორე რაიონის ბინაზე დანიშნულია სოც.-დემოკრ. ქალთა ბიუროს წევრების და ყველა კოლექტივების შეერთებული კრება.

— დღეს, საღ. 7 ს. დანიშნულია ცენტრის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა.

— დღეს, საღამოს 7 ს. გრიბოედოვის ქუჩ. (ყოფილ ფრეილინის) № 11 შესდგება საქართველოს ტექნიკური საზოგადოების საზოგადო კრება.

— დღეს ლექციების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება ს.-დ. სტუდენტთა კრება.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲛᲮᲚᲘᲜᲘ

სოჭის ფრონტზე, დენიკინელებთან ბრძოლაში, დაიღუპა ამხ. ბორის მიხლინი.

მწარე და დაუძლეველია ეს ამბავი ყველა მის ნაცნობ-მეგობრების და პარტიულ ამხანაგებისათვის. ბორის მიხლინი ერთი იმ გულწრფელ რუსის ინტელიგენტთაგანი იყო, რომელთაც თავიდანვე გაიზიარეს საქართველოს დემოკრატიის მიერ აღებული სწორი გზა. იგი საქართველოს დამოუკიდებლობის ერთგული დამცველი იყო და ხშირად ხალხთა გვარდიის სამხედრო ექსპედიციებში მხურვალე მონაწილეობასაც იღებდა. ბორის მიხლინი ერთი იმ ინტელიგენტთაგანი იყო, რომელსაც ვერ ატყუებდა ვერც დენიკინის რეაქცია და ვერც ბოლშევიკების მიერ გამოფენილ ტყუილს. ის „ბორბა"-ს მუდმივი თანამშრომელი იყო და [illegible] ასრულებდა თავის მოვალეობას. ქართველმა დემოკრატიამ ერთი გულწრფელი მეგობართაგანი დაჰკარგა და ეს დანაკლისი მით უფრო საგრძნობია ჩვენთვის, რომ არსებულ პირობებში ნაკლებათ მოიძებნებიან ისეთი რუსი ინტელიგენტები, რომლებიც ადვილათ იცნობენ საქართველოს დემოკრატიის სწორ გზას და მისი სისხლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას.

ადამიანობა მოითხოვს გაიღო გორელებისათვის.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

რუსეთი.

ინფორმაცია საქართველოზე. თუ რა სულელური ცნობებია გავრცელებული საქართველოს შესახებ რუსეთში, ამის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა ეკატერინოდარის გაზეთი „უტრო იუგა". ამის შემდეგ ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რას სწერენ საქართველოს შესახებ შორეულ ადგილებში, როცა ჩვენს მახლობელ ეკატერინოდარში ქვემო მოყვანილ ცნობებს ჰბეჭდავენ და ავრცელებენ. „უტრ. იუგა" სწერს: „სოჭის ოლქში ჩვენ წინააღმდეგ (გ. ი. მოსხელისვილის) მოქმედება დაიწყეს ეგრეთ წოდებულმა „მწვანე არმიელებმა". მათმა „ოფიციალურმა" ორგანიზაციამ „შავი ზღვის გუბერნიის განმათავისუფლებელმა კომიტეტმა" ამას წინათ თხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობას და სთხოვა დახმარება „დენიკინის რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში". საქართველოს მთავრობამ არაფერი უპასუხა „კომიტეტს", მაგრამ „მწვანეებმა" ქართველ მენშევიკებთან ერთად დაიწყეს მოლაპარაკება ხალხის გვარდიასთან და მის შტაბის უფროს ჯუღელთან. უკანასკნელმა თავის მთავრობის დაუკითხავად, დაიწყო შეტევა სოჭის მიმართულებით. სახალხო გვარდია ეს რეგულიარული ნაწილებია, რომელიც შესდგება ქართველებისაგან. ამას წინათ ამ გვარდიელების წყალობით საქართველოს მთავრობამ ბოლშევიკების აჯანყება ჩაახშო თავის ქვეყანაში. უკანასკნელ დროს როგორც გვარდიელებში, აგრეთვე რეგულიარულ ნაწილებში ფართო გავრცელება აქვს ბოლშევიკურ პროპაგანდას. რეგულიარულ ნაწილებში იყო შემთხვევები, როცა ჯარისკაცებმა სცემეს თავიანთ უფროსებს, ბევრ ნაწილებიდან ჯარისკაცების მოთხოვნით გადაყენებულ იქნენ უფროსები, როგორც „მონარქისტები". სოჭის რაზმში ხუთი ათასი ქართველი ჯარისკაცი არის. ქართველების იერიშების სალიკვიდაციოთ ნოვოროსიისკიდან სოჭის ფრონტზე იგზავნება ტრანსპორტი „კოლხიდა" ჯარისკაცებით და ჯავშნიან ავტომობილებით".

ლენინი მდგომარეობის შესახებ. ჰელსინგფორსის გაზეთების ცნობით ლენინს მოსკოვის კომუნისტების ყრილობაზე სიტყვა შორის უთქვამს: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პროლეტარიატი მოღალულ-მოქანცულია ოთხი წლის ომით,—იგი მაინც ჰპოვებს თავის წრეში იმდენ ძალას, რომ გაუმკლავდეს მოწინააღმდეგეებს, რომლების მხარეზე მთელი ტეხნიკური უპირატესობაა. ეხლანდელი გამარჯვება,—ეს ბრწყინვალე ფურცელია ხალხთა რევოლიუციების ისტორიაში. მოკავშირეების მუშაობის შესახებ ლენინმა შემდეგი განაცხადა: ვერსალის ზავი უმძიმესი ყაჩაღობაა, რომელიც მოკავშირეებმა ჩაიდინეს [illegible]; [illegible] უკვე დარწმუნდნენ, რომ მოკავშირეების სახით მათ საქმე აქვთ ნამდვილ მტაცებლებთან. დასასრულ ლენინი ბევრს ლაპარაკობს იმაზე, რომ გამზადებული უნდა იქნეს მტკიცე კავშირი რუსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის; იგი აცხადებს, რომ აღმოსავლეთში გასვლას თვლის საბჭოთა პოლიტიკის მიზნათ.

როსტოვის ფრონტზე. სამხრეთ რუსეთის გაზეთების ცნობით როსტოვის ფრონტზე 27—28 იანვრიდან დაწყებული ცხარე ბრძოლა სწარმოებს. განსაკუთრებული სიცხოველით ბრძოლა სტანიცა ოლგინსკაიასთან გრძელდება; ბრძოლა 3 დღე და ღამე გრძელდებოდა და აღნიშნული სტანიცა 6 ჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში. მე-10 საბჭოთა ჯარი [illegible] უფროსობით ამ ხანებში დამარცხდა და გარეკილ იქნა მდ. მანიჩის იქით. გარეკილ იქნა აგრეთვე ბუდიონის და დუმენკოს ჯარები. დონის ჯარის უფროსის გენ. სიდორინის განცხადებით, აქ დონის ჯარმა და „მოხალისეთა" კორპუსმა ხელში ჩაიგდო 70 ზარბაზანი, ავტომობილი ტყვიისმფრქვეველი და სხვა სამხედრო ნადავლი. ტყვეების გადმოცემით თვითონ ბუდიონი 29 იანვარს დაჭრილა. გაზ. „რუსს. [illegible]"-ს ცნობით, 4 თებერვლიდან გენ. დენიკინი ბატაისკში იმყოფება და თვითონ უფროსობს ბრძოლას როსტოვის რაიონში. სამხედრო მიმომხილველი აღნიშნავენ, რომ „მოხალისეთა" გამარჯვება უფრო საგრძნობი იქნება მას შემდეგ, როდესაც ყუბანის ჯარიც მონაწილეობას მიიღებს ბრძოლაში.

სამხრეთ რუსეთში. დონის, ყუბანის და თერგის უმაღლესმა კრუგმა, მიიღო რა დადგენილება სამხრეთ რუსეთის მთავრობის დაარსების შესახებ, გამოსცა პირველი უკაზი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ დაარსდა მთავრობა და უმაღლესი სარდლობა სამხრეთ რუსეთის ჯარებისა. მოუწოდებენ ყველა ჯარების ატამანებს, მიიღონ სასწრაფო ზომები და გაატარონ ცხოვრებაში საყოველთაო მობილიზაცია. უმაღლესი კრუგი სასტიკ ზომებს მიიღებს ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც გაექცევა ჯარში სამსახურს. უმაღლესმა კრუგმა მიიღო ყველა ზომები, რომ ის შეცდომები, რომელმაც დაღუპეს და რამაც ფრონტი კატასტროფამდე მიიყვანა, აღარ განმეორდეს.

შავი ზღვის გუბერნიის უფროსმა გენ. ლუკომსკიმ გამოსცა ბრძანება, რომლითაც იგი აუქმებს ამ გუბერნიაში სამხედრო და სამოქალაქო ხასიათის [illegible]. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ [illegible] მასალის ნაკლებობის გამო და [illegible]. ფაქტიურათ შავი ზღვის გუბერნიაში მობილიზაცია ვერ განხორციელდება, რადგანაც მოსახლეობა [illegible].

დონის კრუგმა განაახლა მუშაობა ეკატერინოდარში. არჩეულ პრეზიდიუმში თავმჯდომარე—ცენტრის დეპუტატი, თავმჯდომარის ამხანაგათ გენ. იანოვი—მემარჯვენეთა ლიდერი.

ყუბანის ჯარების მთავარ სარდლათ გენ. დენიკინმა დანიშნა გენ. შკურო. ყუბანის რადამ განაცხადა, რომ მართალია მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო შკუროსი, მაგრამ მის დანიშვნის უფლება აქვს მხოლოდ რადის ატამანს და არა დენიკინს. გამოსცეს მოთხოვნა შკუროს დანიშვნა მოხდეს ყუბანის ატამანის მიერ.

ნოვოროსისკში 9 და 10 თებერვალს ძლიერი ქარი ამოვარდა, რომელმაც ქალაქში ცხოვრება შეაჩერა. ნავთსადგურში მდგარ ხომალდებზე დაჩქარებული მუშაობა სწარმოებდა და ეს იყო მიზეზი, რომ დიდი უბედურება არ დატრიალდა. დაიღუპა გემი „რიონი". ტალღამ ნაპირზე გამორიყა მარტო საქონლით დატვირთული. გემი „ალექსანდრე [illegible]" [illegible] გადაარჩინეს. [illegible] თავი [illegible]. ყინვა 18 გრადუსამდე აღწევდა. ქალაქში არ არის სათბობი მასალა, სურსათის დიდი ნაკლებულობაა. [illegible]. ორი დღე არ გამოსულა გაზეთები, რადგანაც მუშებს ვერ შეეძლოთ სტამბაში მისვლა.

ოსმალეთი.

ინდოეთის მუსულმანები და ოსმალეთი. ქ. ხინდაში მომხდარი ინდოეთის მუსულმანთა კონფერენციამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ოსმალეთის დიდ ვეზირს ალი-რიზა ფაშას: „ინდოეთის მუსულმანთა კონფერენციამ დაადგინა: სცნოს შეურყევლად ხალიფის უფლებები კონსტანტინოპოლზე და გამოუცხადოს მას სიმპატია და ნდობა, როგორც დიდ წინასწარმეტყველის მოადგილეს".

იტალია და ოსმალეთი. იტალიის ყველა მიმართულების გაზეთები ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ სულთნის კონსტანტინოპოლში დატოვების შესახებ.

სირიის დამოუკიდებლობა. შეთანხმების ხელმწიფოებმა იცნეს სირიის დამოუკიდებლობა, რისთვისაც მან უნდა მიიღოს სირიას საჭირო ინსტრუქტორები სამხედრო და ეკონომიურ ცხოვრების მოსაწყობლად.

ადერბეიჯანი.

დიპლომატიური წარმომადგენლობის გაუქმება. ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით გაუქმდა ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლობა ყუბანის მთავრობასთან.

თავი შაქარი. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მიიღო 70,000 ფუთი ფხვნილი შაქარი. შაქრის ნაწილი დაურიგდება „ცენტროსოიუზის" საშუალებით მცხოვრებთ 40 მან. გირვანქა; ნაწილი გადაეცემა შაქრის [illegible] დასამზადებლად.

შემოსავლის [illegible] გადასახადი. მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ახალი კანონპროექტი შემოსავლის [illegible] გადასახადების შესახებ. კანონ-პროექტის თანახმად გადასახადის მინიმუმი გადიდებულია 20-დან 36 ათას მანეთამდე.

ღალატობს სინდისს—თუ ბევრი გაქვთ და ფორმის შესასრულებლათ ცოტას ეხმარებით.

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲫᲕᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗ

— 28 თებერვალს შემდგარმა ადელხანოვის ქარხნის მუშათა კრებამ, კავშირის წევრთა საზოგადო კრებამ დაადგინა, კავშირის თითოეულმა წევრმა გადაუხადოს თავისი ერთი დღის ჯამაგირი ამ წლის იანვრის ტარიფით, „გორის ფონდის სასარგებლოთ".

— ვაჭრობა-მრეწველობის მთავარი ორგანოთა წარმომადგენელთა შეერთებულმა კრებამ მოიწონა ბალტის კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება და იტალიის [illegible] განზრახული ბანკეტი [illegible] გადადვეს. ბანკეტისათვის გადადებული თანხა, [illegible],—74,000 მანეთი გადასცეს „გორის ფონდს". არჩეულ იქნა დაზარალებულთა დამხმარე ვაჭრო-მრეწველთა მთავარი კომიტეტი. კომიტეტი მუშაობს [illegible]. შეწირულებას მიიღებენ: 1) ყოფ. გ. აფხაზის ინდო-კავკასიის ბანკის (რუსთაველის პროსპ.), 2) სავაჭრო-სამრეწველო პალატა (ერეკლეს მოედ. ქ.), 3) მეჭურჭლეთა და [illegible] სახ—ბა (ვორონცოვის ქ. № 6.), 4) შავი ზღვის მრეწველობის [illegible] (რუსთ. პროსპ. ამინის სახლი)., 5) ნ. ე. [illegible] ამ. კავკ. ბანკი (ლორის-მელიქოვის ქ.), 6) ა. ნ. [illegible] და ვ. ი. ტერ-ზახაროვი—[illegible] ბანკი (თავისუფლების მოედანი), 7) ა. ნ. [illegible]. კომიტეტი მოუწოდებს [illegible] კომიტეტებს.

— გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის შეგროვილ იქნა კვირას, თებერვლის 22, ქვაშვეთის ეკლესიაში 2058 მან. 68 ფული. წარდგენილ იქნა კათალიკოზ-პატრიარქთან.

— ავლაბრის რაიონის და [illegible] წარმომადგენლები გაიწვევიან 29 თებერვალს, 12 ს. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში, სადაც შესდგება საგანგებო სხდომა დამხმარე კომიტეტის არჩევისა და გეგმის შემუშავებისათვის, თუ როგორი დახმარება გაუწიონ გორის და მისი მაზრის მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ.

დროებითი კომისია.

— [illegible] გამგეობამ 24 თებერვალს [illegible] 10,000 მან. [illegible] „გორის ფონდის" სასარგებლოთ და მოწოდებით მიმართა ყველა წევრებს დაეხმარონ დაზარალებულთ.

— ნაფიც ვექილთა საბჭოს [illegible] დაადგინა გახსნას ხელის მოწერა ნაფ. ვექილთა შორის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა ფონდის შესავსებლად.

— 24 თებერვალს საღამოს 6 ს. შესდგა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს წევრთა და ადგილობრივ მასწავლებელთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეერთებული კრება. კრების განსახილველ საგანს შეადგენდა „მასწავლებელთა ორგანიზაციების მონაწილეობა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა ფონდის გადიდების საქმეში". გ. [illegible] გააცნო კრებას უკვე არსებულ დამხმარე კომიტეტების საერთო გეგმა და აგრეთვე თავისი პროექტიც, თუ რა სახით უნდა მოხდეს მასწავლებელთა შორის ფულის შეგროვება; კრებამ დაადგინა: 1) მიმართოს მოწოდებით რესპუბლიკის ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მასწავლებლებს გაიღონ თებერვლის ჯამაგირიდან შეძლებისდაგვარი წვლილი გორის ფონდის გასადიდებლად. 2) თითოეულ სკოლაში შემოწირულებას აგროვებს სკოლის გამგე. ადგენს შემომწირველთა სიას. 3) შეკრებილი ფული გადაეცემა განსაკუთრებულ კომიტეტს 4) კომიტეტში კრებამ აირჩია სამი წევრი: ი. [illegible], ალ. [illegible] და ა. შანიშვილი (საბჭოს ბიუროს მდივანი). 5) კომიტეტის ბინა იქნება ვაჟთა 1 გიმნაზიაში.

— მიწის ძვრით დაზარალებულ ქ. გორში და გორის მაზრის სოფლებში მცხოვრებთა დახმარების შესახებ ქუთაისის ერობის გამგეობამ 23 თებერვალს დაადგინა შემდეგი: გადადებულ იქნას ერობის მიერ ეხლანდელი დახმარების სახით ათი ათასი მანეთი. დაევალოს გამგეობის წევრს ალ. პაპავას შეაგროვოს ერობის მოსამსახურეებისაგან ჯამაგირის 10 კაპეიკიდან, რომლებმაც მისი ხელმოწერილი განცხადებით უნდა შემოიტანონ თემებში და თემების გამგეობის დახმარებით აუხსნან და [illegible] ხალხს უბედურება მიწის ძვრით განადგურებულ მცხოვრებლებისა. მოუწოდებენ ხალხს შემოწირულებისათვის ფულით, სურსათით, ნივთეულობით და ბინის [illegible]. [illegible], თუ რამდენ თემს რამდენი სულის მიღება შეუძლია ხარჯზე და მოვლა შენახვით. მიიღონ შემოწირულება ხალხისაგან კვიტანციებით. ცნობა, თუ რამდენი თემი რამდენ სულს მიიღებს და შეგროვილი შემოწირულება დაუყოვნებლივ წარმოდგენილ იქნეს გამგეობაში.

ამ ჯამაგირის დაქვითვებს და ყოველდღიური [illegible] ხარჯებს იხდის გამგეობა. ამასთანავე გამგეობამ თანახმად თავმჯდომარის მოხსენებისა გადაწყვიტა [illegible] სანიტარულ [illegible] და გამოარკვიოს რაზმის თავის ინვენტარით ხარჯთ-აღრიცხვები და წარმოუდგინოს დაუყოვნებლივ გამგეობას.

— ამიერ-კავკასიის ბანკმა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გადასცა 500 ათასი მანეთი.

— მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტმა დეპეშით აცნობა ერობათა ტექნიკურ [illegible] წევრთა კომიტეტს, რათა უკანასკნელმა დაუყოვნებლივ გაგზავნოს ოთხი ტექნიკი გორში სამუშაოთ.

— თფილისის გარე უბნის სათემო ერობის გამგეობამ, მიწის ძვრით დაზარალებულთა სასარგებლოთ გადასდო ათი ათასი მანეთი, გარდა ამისა, გამოარჩია კომისია, რომელიც საქართველოს [illegible] თავის რაიონის ფარგლებში შემოწირულებათა [illegible]. იქნება მიღებული ფული, ტანსაცმელი, სურსათ-სანოვაგე და სხვა. შემოწირულებას [illegible] მთავარი კომისია თფილისის გარე-უბნის სათემო ერობის ბინაზე: რუსთაველის პროსპექტი, სახლი № 6. თფ. გარე-უბნის სათემო ერობის მოსამსახურეებმა, თავის მხრივ გადასდეს მიწის ძვრით დაზარალებულთა სასარგებლოთ ერთი დღის ჯამაგირი.

— [illegible] მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გადასდო 50,000 მან. და დაადგინა გაიღოს საჭირო თანხა 20 საწოლის შესანახათ.

— სპარსეთის საგარეო მინისტრის [illegible] ტაბა-ტაბაიმ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს [illegible] გორში მიწის ძვრის გამო [illegible] საქართველოს მთავრობას. ტაბა-ტაბაი [illegible], რომ დაუყოვნებლივ [illegible] სპარსეთის მთავრობა ყოველგვარ დახმარებას გაუწევს საქართველოს მცხოვრებთათვის [illegible] მან თავის უფლებით ნება

ქართველ სპარსეთიდან ამ მიზნით გამოზიდულ იქნას 50,000 ფუთი ბრინჯი.

საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო სპარსეთის ამიერ-კავკასიაში მყოფ გენერალურ კონსულისაგან: „ბაქოში საჩქაროთ გამგზავრების გამო საშუალება არ მქონდა გულწრფელი მწუხარება და თანაგრძნობა გამომეცხადებინა თქვენთვის საქართველოს თავს დატეხილ სტიქიური უბედურობის გამო. დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობის და ერის საერთო ცდით და მეგობართა გულწრფელი თანაგრძნობით რესპუბლიკა ძალას ჰპოვებს ამ უბედურების გადასატანად“.

— გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ ზამთის, 28 თებერვალს, მუშათა კლუბში გაიმართება დიდი მხატვრული საღამო. ნაჩვენები იქნება აგრეთვე საქართ. ცენტრ. კოოპერ. კავშირის მიერ გადაღებული სურათი „მიწის ძვრის შედეგები ქ. გორში“.

— [illegible] ცენტრში 24 თებ. სხდომაზე დაადგინა, მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ, მოკლე დროში მოაწყოს „გორის დღე“ ვრცელი პროგრამით, პროგრამის საწარმოთ შემუშავება მიენდო განსაკუთრებულ კომისიას.

— აზერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარე ჯაფაროვმა, მთავარი გაჯიხანკიმ, საგარეო საქმეთა მინისტრი ხანხოისკიმ და გზათა მინისტრმა ასლანოვმა ინახულეს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ბაქოში ბ-ნი ალშიბაია. ღრმა თანაგრძნობა განუცხადეს მას საქართველოში მომხდარ სტიქიურ უბედურების გამო და პარლამენტისა და მთავრობის სახელით სთხოვეს მას აცნობოს ეს საქართველოს მთავრობას.

— 21 თებერვალს ქ. ზესტაფონში შეკრებილი ყველა დაწესებულებათა წარმომადგენლების კრებამ აღუთქვამს დახმარების „მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტს“ დაუგზავნის კრების წევრთა შორის შეგროვილ 15,500 მანეთს.

— ქ. ლანჩხუთში ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით შესდგა „დამხმარე კომისია“. მიღებულია ზომები შემოწირულების შესაკრებათ. გადაწყვეტილია მილიონი მანეთის სურსათი და შეშა გაიგზავნოს გორის მაზრაში.

— ფოთის ვაჭარ მრეწველთა კავშირის კრებამ დაადგინა, 75 გორელი ლტოლვილების სრული ხარჯი მიიღოს თავის თავზე. ამასთანავე კრება სთხოვს კომიტეტს, უკანასკნელმა აცნობოს თუ როდის გაგზავნიან ლტოლვილთ ფოთში, რომ შესაფერისად დახვდნენ მათ.

— თბილისის მაზრის ერობამ მიმართა ყველა თემებს მაზრაში მოწოდებით და სათანადო ინსტრუქციით გორისა და მის მიდამოებში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების ადგილზე ორგანიზაციების მოსაწყობად. დაავალებულია შემუშავებული ასეთი სქემა: 1) თემის გამგეობასთან არსდება სათემო კომიტეტი, რომელშიაც შედიან წარმომადგენლები თემის გამგეობიდან, კოოპერატივებიდან, ერობის მოსამსახურეთა კავშირიდან და ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციებიდან. 2) ამავე დროს თვითეულ სოფელში არსდება მცირე კომისია, რომელშიაც შედიან ადგილობრივ მცხოვრები, თემის ხმოსნები და ინტელიგენციიდან. თუ ხმოსნები არ არიან კომისიაში შესვლა ევალებათ სოფლის საბჭოს პირთ. 3) სოფლის კომისიას ექნება კავშირი სათემო კომიტეტთან, ხოლო უკანასკნელს — მაზრის ერობის გამგეობასთან. 4) დახმარება მიიღება ყოველნაირი სახისა — ფულით, ხორბლეულობით, საცმელით და სხვ. თემებს ერობა დაუგზავნის შემოწირულებათა აღსანუსხავ დავთრებს და კვიტანციებს.

— საქართველოს კონსული [illegible] იუწყება: გორის მაზრაში მომხდარ უბედურების გამო მხურვალე თანაგრძნობას [illegible] სხვადასხვა ჯგუფები და კერძო პირები. სხვათა შორის, ასეთი თანაგრძნობა გამოაცხადეს მოხალისეთა ჯარის [illegible] წარმომადგენელმაც საბჭოთა ამხანაგობამ „[illegible]“ თანაგრძნობასთან ერთად გადმოგვცა 50,000 მ. ბონებით მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ნ. რამიშვილი დასავლეთ საქართველოში

(შთაბეჭდილებანი).

16 იანვარს შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრი ნ. რამიშვილი, ადმინისტრაციის და სახალხო სკოლების ინსპექტორების თანხლებით გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში. მოგზაურობის მიზანი ჰქონდა ის, რომ მინისტრი უშუამავლოდ გაეცნობოდა ადგილობრივი ცხოვრების ყოველ მხარეს და ხალხთან პირის-პირ შეხვედრით, გაეგო ყველა მისი გულისნადები და თავის მხრივ გაეცნო ხალხისათვის, თუ რა გადაკეთდა მთავრობამ ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში და რა გზით ფიქრობს ის მომავალში საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

მოგზაურობამ, რომელმაც სულ ერთ თვეს გასტანა, საუცხოვოდ მიაღწია მიზანს. ამ ხნის განმავლობაში, მინისტრმა შემოიარა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს რაიონული ცენტრები, აგრეთვე ბევრი განაპირა დაბა-სოფლები. მარშრუტი ასეთი იყო: ზესტაფონი, ქუთაისი, საჩხერე, ქუთაისი, ბაღდადი, ხონი, ლაშიჯა, ჩხენი, ტყიბული, სამტრედია, სენაკი, აბაშა, ზანძა, ძველი სენაკი, ნაქალაქევი, ხეთა, ზუგდიდი, სოხუმი, ფოთი, ოზურგეთი, ჩოხატაური, სურები, ნიგოითი, სუფსა, ლანჩხუთი, ბაშური, სუპსა, ბარჯამი და გორა. ხალხი დიდის ყურადღებით და კმაყოფილებით ისმენდა მინისტრის ყოველ სიტყვას. მინისტრი ყოველგან კითხულობდა ვრცელ და შინაარსიან მოხსენებას საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებით გახარებული ხალხი, ამ მოხსენებით ეცნობოდა იმ მტკიცე და შეურყეველ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენი მთავრობა ახალი სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად. ეს მოხსენება უმტკიცებდა ხალხს იმ აზრს, რომ რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცება და ამ საფუძველზე ახალი სახელმწიფოს აგება შეიძლება მხოლოდ მთელი სასიცოცხლო ძალების ამოძრავებით და არა ერთი რომელიმე საზოგადოებრივი კლასის მიერ ტერორის გამეფებით. მთელი ხალხის ნების გამომხატველი დამფუძნებელი კრება და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა, — აი ის უზენაესი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომლის მეოხებითაც მოიკიდებს ჩვენში დემოკრატიული სახელმწიფო. ყველგან მოხსენების შემდეგ იმართებოდა მინისტრსა და ხალხს შორის ბაასი. შეკითხულები იღებდნენ მინისტრისაგან დამაკმაყოფილებელ პასუხს და სრულიად კმაყოფილები ბრუნდებოდნენ. ასეთ მოხსენებებს მინისტრი ყველგან აკეთებდა. დანარჩენ დროს ის ათვალიერებდა სკოლების და სხვა ადგილობრივი დაწესებულებების დათვალიერებას. ეცნობოდა აგრეთვე ჯარის და გვარდიის ნაწილების მდგომარეობას. მინისტრი დიდის ყურადღებით ეცნობოდა საერობო და საქალაქო თვითმმართველობების დაწესებულებათა მუშაობას. ჩვენ საერობო თვითმმართველობებს სულ ერთი წლის არსებობის ისტორია აქვთ და ამიტომ გასაგებია ის დეფექტები, რომლებიც მათ ახლავთ, მაგრამ ამასთანავე უეცილებლად აღსანიშნავია ზოგიერთი საერობო თვითმმართველობის მუყაითობა. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს სენაკის ერობას ის, რომ ერთი წლის განმავლობაში მან შესძლო ერთი გზის, ოცდა ათი ვერსის მანძილზე, ხუთი რკინის ხიდის და ხიდის აგება, ადმინისტრატიულ აპარატის მოწყობა, თავის ხარჯზე ორი საშუალო სკოლის გახსნა და სხვა.

ზუგდიდის საერობო ხელმძღვანელობა, როგორც სენაკის მეზობელმა, აგრეთვე სხვა მოწყობილობით, ფოთელი, სამეგრელოს უნდა აღინიშნოს. ზოგ ერობას მოუსწრია თავის ფარგლებში ტელეფონის ქსელის გაბმა და ამრიგად დაუკავშირებია მაზრის განაპირა კუთხეები ცენტრთან. მართალია, ზოგიერთი ერობა ამ მხრივ ჩამორჩენილია, მაგრამ ახლო მომავალში მთავრობის დახმარებით, ალბათ, იქაც იქნება ტელეფონის საქმე მოწყობილი. ფოსტა და ტელეფონი ჩვენი ერობების ერთი მთავარი საზრუნავი საგანი უნდა შეადგენდნენ. მეტ ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე სკოლების ტექნიკურად მოწყობის საკითხი: სასკოლო შენობის აგება-შეკეთება და სასწავლო ინვენტარის შეძენა. საერთოდ კი ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ დარწმუნდეთ, თუ რამდენი გაკეთებულა ჩვენში თვითმმართველ ორგანოების წყალობით. ხაზგასმით, ყველგან ერთის ტემპით არ სწარმოებს მუშაობა, თორემ სულ ახლო მომავალში ჩვენი მხარე სწორედ აყვავებულ ხალხად შეიქმნებოდა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინისტრის მოგზაურობას აფხაზეთში. საქართველოს ცენტრს მოწყვეტილი, მშვენიერი აფხაზეთი გადაეკიდება პოლიტიკურად გზა აბნეულთა ბუდეთ. მინისტრის მოხსენებამ ბევრი ასეთი პოლიტიკურად გაუწვრთნელი ჩააფიქრა და შეაგნებინა ის ჭეშმარიტება, რომ აფხაზეთის ინტერესების სიწმინდით გაგება მოითხოვს დამოუკიდებელ საქართველოსთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებას ავტონომიის საფუძველზე. ეს აზრი უკვე მიიღებოდა უწყეს აფხაზეთში. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მართვის საქმეში ნამდვილი დემოკრატიზმის განსამტკიცებლად სწორედ აუცილებელია მთავრობის წევრების ხალხში ვიზიტი და ხალხთან უშუალო ურთიერთობა. მოგზაურობამ ცხადყო, თუ რამდენად ახლობელია ერთმანეთისათვის ჩვენი ხალხი და მთავრობა. ეს ერთობა და ურთიერთობა ჩვენში მტკიცეა და ეს ადგილი ექნება ეს ჭეშმარიტება იმ ხალხს, რომელიც ჩვენ პროვინციაში და ამას კავშირს ხალხსა და მთავრობას შორის.

ზ. ხოშტარია(?).

ს.-დ. პარტიაში

ოზურგეთი. 19 თებერვალს, შესდგა ხარაგაულის კრება საქართველოს ს.-დ. მუშათა პარტიის ტრამვაიში. კრებას დაესწრო 150 წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ფ. ლორია, მდივნათ ა. ჩიკაშუა. დღის წესრიგში იდგა: პროფესიონალური კავშირის არჩევნები.

ხანამ კრება საკითხის განხილვას შეუდგებოდა, დამფუძნებელი კრების წევრმა ნიკოლოზ იმნაიშვილმა გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: საქ. ს.-დემოკ. პარტიის როლი საქართველოს აღმშენებლობაში. მოხსენება შინაარსიანი იყო და კრებამ ყურადღებით მოისმინა. იყო შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა ვრცელი დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. რადგანაც მოხსენება გრძელდა იყო და საკითხის გასარჩევად დრო აღარ დარჩა, ამიტომ გადადებულ იქნა შემდეგ კრებისათვის.

დასასრულ კრებამ სთხოვა ამხანაგ იმნაიშვილს, რომ მან ხშირად გააკეთოს მოხსენებები ტრამვაიში, რაზედაც ის დასთანხმდა.

მდივანი ა. ჩიკაშუა.

ს. ვანი (გურია). 7 თებერვალს, შესდგა სოფ. ვანის ს. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციის წევრთა საგანგებო კრება. გამოცხადდა წევრთა სრული შემადგენლობა. კრება გახსნა ამხ. ვიქტორ მახარაძემ. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ცენტრალურ კომიტეტიდგან, 2) მოხსენება გურიის ცენტრ. კომიტეტისა, 3) დელეგატის არჩევა გურ. კონფერენციაზე, 4) პარტიის წევრთა მიღება.

ცენტრალურ კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ზაქრო წულაძე. მოხსენებელმა დაწვრილებით გააცნო მთელი რიგი დადგენილებანი ცენტრალური კომიტეტისა და აგრეთვე გაარკვია ჩვენი მთავრობის პოლიტიკა, საქმიანობა საქართველოს დამოუკიდებლობის ალიარების შესახებ, მოხსენებამ დასწრე საზოგადოება დააკმაყოფილა. გურიის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. გრიშა მახარაძე, რომელიც აცნობს კრებას 1919 წლის 1 იანვრიდან 1920 წლის 1 იანვრამდი გასავალ-შემოსავლის ანგარიშებს გურიის ცენტრ. კომიტეტისას. კრება წარმოდგენილ ანგარიშებს ამტკიცებს.

კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატათ კრება ერთხმად არჩევს ამხ. გრიშა მახარაძეს. დასასრულ თანხმობით წესდებისა, პარტიაში მიღებულ იქნა ამხ. მენია ხომერიკის ძე თაბიძე.

ს. წიხელაძე.

ს. ახალი ს. ს.-დ. მ. პ. ათენის რაიონ. კოლექტივმა თავის სხდომაზე 14 თებერვალს დაადგინა: გადაეცეს იქნას დღეიდან ნაცემული საწევრო მიიღოთ და ეს განოცხადდეს პრესაში.

მუშათა შორის

რკ. გზის ხელოსნ-დეპო შორის. 26 ამ თვეს შესდგა სამუშაო კრება დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი კითხვები: 1) გორის დაზარალებულ მიწის ძვრისგან, 2) საპენსიო კასა, 3) ფულის ფულები, 4) ქალაქის მეწყვილები პროფესიონალური კავშირიდან გამოსვლა და წვრილმანი საკითხები.

როგორც მოსალოდნელი იყო, მუშები დიდის მზრუნველობით შეხვდნენ გორის მაზრაში უბედურების დატრიალებას და თითქმის უკამათოთ ერთხმათ დაადგინეს ერთი დღის ნამუშევარის გადადება, ხოლო შემდეგ დღეში დაადგინეს იმ შორის კვირას.

საპენსიო კასის შესახებ მოხსენებას აკეთებს ბარათაშვილი, რომელიც უჩივის მუშებს საპენსიო კასაში შესვლის საჭიროებას. ის აღნიშნავს: ვინაიდან სახელმწიფოს არ არის შეძლებული და დაკანონებული, რომ სახელმწიფო უზრუნველყოს მუშები დასახიჩრებისა და დავადებისაგან, აგრეთვე სიკვდილის შორის, საჭიროა და სასარგებლოა — საერთოთ რკინის გზის მოსამსახურენის — შესვლა პენსიების კასაში ყველა კაცმა სულ და ეს კრება პრინციპიალურად აუცილებლად თვლის ხელმძღვანელობას კასაში შესვლას. ტექნიკური საქმის მოწყობა ეძლევა ერთ ერთ მოსამსახურეს. მეორე კითხვა აღდგენილია გადაიდო. მეოთხე კითხვამ კი გამოიწვია კამათი და რადგანაც საკითხი კრებამ იცის რიგულათ, დადგენილ იქნა შემდეგ იქნას მოწვეული კრება როგორც ცენტრის, აგრეთვე ქალაქის პროფესიონალურ მეწყვილეთა კავშირის წარმომადგენელთა თანადასწრებით.

„ო—რი“.

ხაშ. ხუმბათიძ. 21 თებერვალს ხუმბათოვის ბე ტყის საგარე ქარხანაში შესდგა ორთავეს „ხმენის“ მუშა მოსამსახურეთა კრება. თავმჯდომარეობდა პ. თბელაძე, მდივნობდა გ. ხარაძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ფსწაველდ მუშების სწავლა, 2) ბორჯომის მაზრაში მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის ცენტრის დაარსება და მიწის ძვრის გამო დაზარალებულთა დახმარება. პირველი საკითხის შესახებ ილაპარაკა ხარაძემ. წერა-კითხვის უცოდინარობა ყველა მუშამ სურვილი გამოთქვა სწავლისა. კრებამ დაადგინა საგადლოებულთა გახსნას ყველა წერა-კითხვის უცოდინართათვის სწავლა. გაეცნო რა კრება ბორჯომის მაზრის მუშების და მოსამსახურეთა პროფ. კავშირების მუშაობას, ერთხმად სურვილი გამოთქვა, რომ მოკლე ხანში შეიქნეს ერთი ცენტრი, რაც აუცილებელი საჭიროა ჩვენი საერთო ინტერესების დასაცველად. თანახმად გ. ხარაძის განცხადებისა გორში და სხვა სოფლებში მომხდარ უბედურების შესახებ, კრებამ ერთხმად დაადგინა დაზარალებულთა სასარგებლოდ ნახევარი დღის ნამუშევარი ჯამაგირი გადაიდოს პირველ ჯამაგირის მიღებამდე. დასასრულ კრებამ გ. ხარაძეს შეკრიბოს ყველა მუშა-მოსამსახურიდან არა ნაკლები ნახევარი დღის ჯამაგირისა და გისაც შეძლება აქვს, სურვილისამებრ შეიტანო გადასცეს სათანადო კომიტეტს.

მდივანი გ. ხარაძე.

ხელის მოსამსახურეთა კავშირის გამგეობამ თავის სხდომაზე 24 თებერვალს დაადგინა, თავის ბიუჯეტიდან გადასდოს გორში დაზარალებულთა სასარგებლოთ 10,000 მანეთი და აგრეთვე დაგზავნოს მოწოდებები, წევრების სასურველობით ყველა წარმოებებში, რომ გასცეს რამდენი შეუძლია შესწირონ.

იმ ქალების შესახებ, რომლებიც მოსწოდებენ ლოტოს ხელმისაწვდომ კლუბებში, დაევალოს რაიონის წარმომადგენლებს გამოიკვლიონ საქმის მდგომარეობა მათი კავშირში ჩაწერისა.

სასტუმრო „ინტერნაციონალის“ მოსამსახურეების მოთხოვნილება პატრონის მიმართ გადაეცეს რაიონის წარმომადგენელს და საკონფლიქტო კომისიას, განმოიკვლიონ ადგილობრივათ საქმის მდგომარეობა და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მოთხოვნილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

პროვინცია

ს. ხითში (ზემო). 30 იანვარს მოხდა სოფლის ხელნის საადგილმამულო კომიტეტის წევრთა კრება. დაესწრნენ კომიტეტის წევრნი: დათიკო ლორთქიფანიძე, ანტონ მაჭავარიანი, გრიშა ლორთქიფანიძე, მიხეილ ლორთქიფანიძე, თავადი ლორთქიფანიძე, თევდორე ფიჯაშვილი, სტეფანე ლორთქიფანიძე, შალიკო ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ოდიშელიძე და სხვ ნი. სხვათა შორის იყო განხილული კრების მიერ, რათა ალმძრა საკითხი მთავრობის წინაშე, რომ ხელში აშენდეს დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, თეატრი და საავადმყოფო. ხეკი ძალიან ჩამორჩენილია კუთხეა საქართველოში და ეს აიხსნება იმით, რომ არ არის არც ერთი კულტურული დაწესებულება, გარდა რამოდენიმე დაბალი სკოლისა, სადაც სწავლობს მხოლოდ ბავშვები. სიონში, გორისცეიში, ხონში, ჭანბეგში და ბერგიცში. დანარჩენ სოფლებში სწავლა არ სწარმოებს, რადგანაც არ არის სკოლისათვის შენობები და არც მასწავლებლები. ამისათვის ხითის სკოლის ხელნის საადგილმამულო კომიტეტმა გადასწყვიტა აეშენოს ხეკის „ცენტრში“ უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, თეატრი და საავადმყოფო. პირველად ეს აუცილებელი საჭიროა არის, რადგანაც ადგილობრივ მცხოვრებლებს ხაშიდგან მიუცემია შეაგროვონ თავიანთ შემოსავლის ხუთი ცოლის, რომელიც საჭიროა ყველა აღნიშნულისათვის. ამ ამისათვის სკოლის ხელნის საადგილმამულო კომიტეტი მოუწოდებს ყველა საზოგადოებას მოეხმაროთ, ყოველმხრივ დახმარება, ვინ რითაც კი შეუძლიათ.

ხითის ს. ხ. საადგილმამულო კომიტ. თავმჯდომარე დათიკო ლორთქიფანიძე.

ქ. ხაშური. 20—21 თებერვალს ხაშურის მიდამოებშიაც ხაშინება მიწის ძვრა იყო. მსხვერპლ დანაშაული შენობები. ადამიანის მ. მსხვერპლი არ ყოფილა.

— ხაშურის თვითმართველობის ინიციატივით მოწვეულ იქნა კრება ყველა საზოგადოებრივ დაწესებულების წარმომადგენლით, რომელმაც აირჩია გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი.

ნიკო გურული.

ლეჩხუმი თავისებურადაა მოქცეული წარმოადგენს სამ ნაწილად, თავ მდინარეების ხეობების მიხედვით. ერთი ნაწილი მცხოვრებლებისა მოსახლეობს სამხრეთით რიონის პირად, მეორე ნაწილი კი, ჩრდილოეთით — ცხენისწყლის პირად. მცხოვრებლები, რომლებიც მოსახლეობენ რიონის პირად, უზრუნველყოფილი არიან შარა-გზით, რომელიც ამ მდინარეს მისდევს რაჭიდან — ქუთაისამდე. მცხოვრებლები, დასახლებულნი ცხენისწყლის პირად, მოკლებულნი არიან მაზარზე შემეერთებელ გზას.

ცხენის წყლის პირად იყო და არის საქვეითო სასოფლო გზა (ცაგერიდან-ხონამდე), რომლის შარად გადაკეთებისათვის იღწვოდა და მეცადინეობდა 1908 წლამდი მოხუცი გლეხი არჯევანიძე, რომელმაც გაიყვანა ცხვში შარა გზისა, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა მას ეს საქმე დაემთავრებინა.

შემდეგ ამ გზის გაკეთებას ხალხის გულის მოხსენებით თვით ძველმა მთავრობამაც კი მოჰკიდა ხელი საზოგადოების ხარჯზე. ფულიც შეიკრიბა, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, მთავრობის წარმოდგენები გაფლანგეს. (ეს იყო მაზრის უფროსის ენკელის დროს) და მას იქეთ ხალხი არის დარჩენილი უგზოუკვლოდ და ისედაც ძნელ ეკონომიურ მდგომარეობას ეს უფრო ამძიმებს. ამ მოვლენას მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა ერობამ და თავის უფლებებს სამოქალაქო გზებად გაიხადოს ხალხისათვის დიდი ხნის სანატრელი წადილის შესრულება. ასეთია სურვილი და თხოვნა მაზრის მცხოვრებთა უმრავლესობისა ერობისა და მთავრობისადმი, რომელთა მოწოდებაზე ხალხი ყოველთვის მზათ იქნება.

მეხა-ხნელი.

ს. დიდი-ჯიხაიში. ადგილობრივ გიმნაზიის ინახავდა დღემდე მოწიფულთა მშობლები საზოგადოების დახმარებით, მაგრამ ხარჯების გადიდების გამო ამ უკანასკნელმა ვერ შესძლეს ყველა ხარჯების თავის თავზე მიღება საზოგადოების დაუხმარებლად. ამ შემთხვევაში კი გიმნაზიას მოელოდა დახურვა. თემმა გაიღო გიმნაზიის ხარჯების დასაფარავად ერთდროული დახმარება 60,000 მ. დანარჩენი ხარჯები კი თვით მოწაფეთა მშობლებმა უნდა იკისრონ.

ნოდო.

წერ. რედაქციის მიმართ

დიდ წერილი ბ. იოსებ გძელიშვილს.

გაზეთ „ერთობა“-ის მე-17 № ში თქვენ მიერ მოთავსებულია წერილი, რომ იანვრის უკანასკნელ რიცხვებში ქარელიდან თბილისამდე მგზავრობის დროს სამგზავრო ბილეთში თქვენ გადაგახდევინეს 83 მან. 63 მან. მაგიერ. როგორც გამოძიებამ გამოარკვია ამისთანა შემთხვევას ჰქონია ადგილი, მაგრამ არა ბოროტ-განზრახვით, არამედ შეცდომით. ქარელიდან თბილისამდე იყიდება ორი კატეგორიის პლაცკარტი 30 და 50 მანეთიანები. მოლარეს შეცდომით პირველის მაგიერ გაუცია უკანასკნელი, ანგარიშზეც გატარებულია გადიდებულად 50 მ. ნეთიანი. ამასთანავე ერთად წინადადება ეძლევა სად. ქარელის მოლარე ნადირაძეს პირველ თქვენ მოთხოვნისთანავე დაგიბრუნოს ზედმეტი აღებული 20 მანეთი.

ექსპლოატაციის უფროსი აბულაშვილი.

წ ნ ო ბ ე ბ ა

ადგილობრივ ბიჭიაძე ხარბაქაძე მხატვრული თამადობის ფრონტზე უმცროსი ჯარის კაცი მე-20 კავკასიის მსროლელთა პოლკში მე-3 ბათალიონში, 11 როტაში. ორი წელიწადია მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ვსთხოვთ, თუ ვინმემ რამ იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ვლისმელის ქუჩა № 25 დავით მარჩაძეს.

განცხადებანი

ს ა ხ ქ ა რ ო დ

ი ყ ი დ ე ბ ა

50 ცალი „მარკა“ მისამართი: მიხეილის (პლეხანოვის) ქ 25 (შესავალი ალექსის ქ № 5) მიიხედოს ბინა 9—12 ს. 4—7 ს.

(662—5—4)

შ ე თ ხ ვ ე ვ ი თ იყიდება

ხელუხლებელი მოწყობილი

ს ა ს ა დ ი ლ ო

ჩერქეზიშვილის ქუჩ. პირიშიბის გაგება დავითის ქ. № 3. ინტელიგენტთა ჯგუფის კანტორაში. (707—1—1)

ე ქ ი მ ი

დოქ. კოსტ. მე ერისთავი

(ოპერატორი. 6)

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასახლის ქუჩა № 52.

(ი. 581)

ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ო ბ ი ს ს ა ხ ლ ი ს
ბ ე ლ ი

ა მ ზ ა დ ე ბ ე ნ

მოწაფეებს ყველა სასწავლებლისათვის და მოწმობაზე.

არსდება 4, 5, 6, 7

კლასების ჯგუფები; ჩაწერა 9—1 ს., 4—7 ს. მიხეილის პროსპ. 25 (შესავალი ალექსის ქუჩ. 5)

(662—5—4)

ექიმი ა. დ. პეპელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.

(154—თ.)

ელექტრონი მედიცინისა დოქ. ახისკელის მერილინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

შ. შ. მებრაგიანი

შინაგანი ავადმყოფობა, შლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-სამკურნალო კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. შლექების ამპრაციო—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბეჟანიშვილის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს აჩამობს უფასოთ.

(თ. 616)

ექიმი [illegible],

იღებს შინაგან და მუშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ბაქოლის ადმინისტრაციის ახლო.

ე ქ ი მ ი

პ. ზ. ფართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606“ და 914 შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ. (თ. 546)

ექიმი ა. ლევინშტეინი

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების, ჰეპების და ნერვიულ სისტემის. რენტგენიზა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3.

(471)

ე ქ ი მ ი

ზ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი, მიიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრონიკოვის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის ახლოს, თეატრის ახლო.

(249)

ექიმი [illegible],

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ დილით 8—9 ს-ათს და საღამოთი 4—6 ს-ათს. მიხეილის პროსპ. № 64. (სააგენტოს ახლოს) ტელეფ. 14—60.

(თ.—2662.)

ე ხ უ რ ბ ე ბ ი ს ე

ექიმი ა ბ ა შ ი ძ ე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით; ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავის, შლექის აქიმობა „ტუბერკულინით“ და „ფონსულ[illegible]“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები — „914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. ხიამაშვილის ხიდთან.

(ჟდ. 60)

კბილის სამკურნალო

აკ. დონხინისა

(წყლისქვა სნეულებით) ხინ. ქ. № 141 ტელეფ. 5—07 (სამხედრო სასწავლებლის წინ კინოთეატრ „ამილახ“ გვერდით). ყოველგვარ სნეულებებიანი ავადმყოფების მიღება სრულიდ მანქანით. [illegible]

(თ. 218)

კბილის ექიმი

ს. მ. ჩხეიძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. ამნაილის ქუჩა № 11. ბინის კარგის ქუჩიდან პირდაპირ შესასვლელი.

(თ. 3322)

ექიმი [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“, ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილით 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 53.